ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 28 (1457), პარასკევი, 9 ივლისი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

მეოთხე საერთაშორისო

ექვსი ათას კაცს იტევს კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზი, მაგრამ, ამ დღეს, 5 ივლისს ტევა აღარ იყო მის მაღალ თაღებქვეშ.

— კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის! — ასეთია დევიზი მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალისა, რომელიც მსოფლიოს კინემატოგრაფისტთა ზეიმად იქცა.

იწყება ფესტივალის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. კრემლის ყრილობათა სასახლის სცენის სიღრმეში მოსკოვისა და კრემლის პანორამის ფონზე ჩანან ფესტივალის მონაწილე ქვეყნების დროშები.

შეკრებილებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ვ. რომანოვმა. შემდეგ იგი კითხულობს მოსკოვის კინოფესტივალის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი საბჭოთა მთავრობის მისალმებას, რომელსაც ხელს აწერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

კინოფორუმის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ი. პრომისლოვი და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ა. კულიჯანოვი.

სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ ს. ა. გერასიმოვმა და მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ რ. ლ. კარმენმა დამსწრეებს წარუდგინეს ფესტივალის ჟიურის წევრები.

მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფორუმი გახსნილად ცხადდება. პროჟექტორის შუქში აღიმართება ფესტივალის დროშა. დარბაზში საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

იმავე დღეს დამსწრეებმა ნახეს პირველი საკონკურსო ფილმები — საბჭოთა ფილმი „ჯარისკაცის მამა" და იტალიური ფილმი „ქორწინება იტალიურად".

დიდი წარმატება ხვდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოებს „ჯარისკაცის მამას".

„ფილმი „ჯარისკაცის მამა" ღრმად ამაღელვებელი და დიდად გულწრფელი ნაწარმოებია, — თქვა ფრანგმა პროდიუსერმა ა. კამენკამ. — მომეწონა მისი თემის ორიგინალური გააზრება. მე ბევრი ფილმი ვნახე ომზე, კერძოდ, ჩვენთან, საფრანგეთშიც. მაგრამ, მგონია, რომ „ჯარისკაცის მამის" ავტორებმა იპოვნეს თემის ახალი საინტერესო გადაწყვეტა. ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია გამოჩენილი ქართველი მსახიობის სერგო ზაქარიაძის თამაშმა."

პოლონელი კინომოღვაწე ვანდა იაკუბოვსკაია წერს: „მშვენიერია მოსკოვის კინოფესტივალის დღეები. და მე მგონია, რომ ფილმი „ჯარისკაცის მამა", რომლითაც ფესტივალი გაიხსნა, დიდად შეუწყობს ამ კეთილშობილურ დღეებს. მე მომეწონა მსახიობის სერგო ზაქარიაძის თამაში. ეს არის არამარტო დიდი ტრაგიკული, არამედ კომიკური მსახიობიც."

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინომოღვაწე თომას ჰოლცმანი, ლაპარაკობს რა მოსკოვის კინოფესტივალის უდიდეს მნიშვნელობაზე, აღნიშნავს: „ფილმი „ჯარისკაცის მამა", რომელმაც პირველმა გაამშვენა ფესტივალის ეკრანი, შექმნილია საბჭოთა კავშირში. ამიტომ, ფესტივალის მასპინძლებმა მისცეს ტონი. მე დამატყვევა მთავარი როლის შემსრულებელმა სერგო ზაქარიაძემ. ეს არის გამოჩენილი მსახიობი."

გაზეთმა „პრავდამ" საზღვარგარეთულ კინომოღვაწეთა გამონათქვამებს ასეთი ქვესათაური მისცა: „ამაღელვებელი ფილმი, გამოჩენილი მსახიობი — ასე ამბობენ ფილმ „ჯარისკაცის მამაზე" საზღვარგარეთელი კინომოღვაწეები". „ჯარისკაცის მამას" დიდი ადგილი დაუთმეს საკავშირო და მოსკოვის გაზეთებმა.

მეორე დღეს, 6 ივლისს საკონკურსოდ უჩვენეს ოთხი სრულმეტრაჟიანი ფილმი — ბერძნული „ახალგაზრდებს ცხოვრება უნდათ", ავსტრიული „ვალიუმის კაიზერის შტურმი", მონღოლური „მეგობრობა — სამეგობროდ" და შვედური „ჩემი სახლია კოპაკაბანა".

შემდეგ დღეს ფესტივალის მონაწილეებმა, სტუმრებმა და მოსკოველმა მაყურებლებმა ნახეს „დიდი შეჯიბრება" (ამერიკის შეერთებული შტატები), „პრომეთეოსი კუნძულ ვიშევიციდან" (იუგოსლავია) და „სამოთხიდან განდევნილნი" (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა).

კინოფესტივალი გრძელდება. მსოფლიოს პროგრესული კინემატოგრაფია თავის ხმამაღალ და შთამაგონებელ სიტყვას ამბობს მშვიდობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, დიდ ადამიანურ სიყვარულზე.

• • •

სურათზე: მაყურებლები გულთბილად მიესალმებიან და ავტოგრაფებს ართმევენ სსრ კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს, მთავარი გმირის როლის შემსრულებელს ფილმში „ჯარისკაცის მამა".

აზიისა და აფრიკის მწერალთა საერთაშორისო სემინარის მონაწილენი თბილისში

მოსკოვში ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა აზიისა და აფრიკის მწერალთა საერთაშორისო სემინარი თემაზე: „მოთხრობის ჟანრი აზიისა და აფრიკის ლიტერატურაში". ეს საინტერესო სემინარი მოაწყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, ჟურნალების „ინოსტრანნაია ლიტერატურა", „ვოპროსი ლიტერატური", „დრუჟბა ნაროდოვ" და უცხოურ ენებზე „სოვეტსკაია ლიტერატურას" რედაქციებმა. სემინარში უცხოელ მწერლებთან ერთად მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მწერლები. საქართველოდან სემინარზე სიტყვით გამოვიდა მწერალი ვლ. მაჭავარიანი.

7 ივლისს საერთაშორისო სემინარის მონაწილე საზღვარგარეთელი სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ.

ქართველი მწერლების სტუმრები არიან ცნობილი განელი პოეტი ჯონ ოკაი, თურქი პროზაიკოსი ნევზათ უსტუნი მეუღლით, ინდოელი მწერალი და პროფესორი პურუშოტამ შივარამ რეგე, ერაყელი კრიტიკოსი ხასან აშ-შეიხ ჯაფარი, კამბოჯელი პროზაიკოსი ხაკხონ სამონი, ლაოსელი პუბლიცისტი სუვანავონგ ბონგი ქალიშვილით, მალელი პოეტი გაუსუ დიავარა, მაროკოელი პოეტი მუჰამედ აზიზ ლახბაბი, მონღოლი ბელეტრისტი სინგინ ერენე, მონღოლი პოეტები ნაიმანჯინ დელაინი და ზანდრაბაიდინ ხორლოგინი, სუდანელი მწერლები ელ-ვალიდ იბრაგიმი, ელ-ტაიბ ზარუკი, გილი აბდელ რაჰმანი, ელ-ხირ ხასანი, ტაილანდელი ნოველისტი არჩინ პანჯაპანი, ფილიპინელი კრიტიკოსი მანუელ კრუზი, ეთიოპელი პროზაიკოსი მენგისტუ ლემა.

სტუმრებს თან ახლავთ მოსკოველი მწერლები და ჟურნალისტები კ. ჩუგუნოვი, ბ. აფანასიევი, ე. სტეფანოვა, მ. რიბაკოვა, ვ. რამზესი, ლ. მორევი, ლ. გორიაევა, ბ. ელბაუმი, ე. სტროგანოვი, მ. ტკაჩოვი და ფ. მაჩელოვი.

გუშინ სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. იყვნენ მთაწმინდის პანთეონში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებში, ეწვივნენ მცხეთასა და საგურამოს. საღამოს კინოპროპაგანდის სახლში ნახეს ახალი ქართული ფილმები.

დღეს აზიელი და აფრიკელი მწერლები ეწვევიან თბილისის კერამიკულ კომბინატსა და ქალაქ რუსთავს. საღამოს 8 საათზე კი მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც ქართველ მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი სტუმრები.

• • •

სურათზე: სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისში.

ფოტო შ. ფურცხვანიძისა.

საგაზაფხულო ნამუშევრების გამოფენა

მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ქართველი მხატვრები. ამის დამადასტურებელია ის სისტემატური გამოფენები, რომლებიც სამხატვრო გალერეის შენობაში იმართება ხოლმე. ამ გამოფენებზე ბევრ ახალ, შემოქმედებითი ხიბლით დატვირთულ მხატვარს ვეცნობით. ასეა ამ დღეებშიც. აგერ უკვე რამდენიმე დღეა საქართველოს სამხატვრო გალერეაში გახსნილია ქართველ მხატვართა საგაზაფხულო ნამუშევრების გამოფენა. გამოფენა საინტერესოა ჟანრთა სხვადასხვაობით. აქ წარმოდგენილია როგორც გრაფიკული, ისე ფერწერული და პლასტიკური ნამუშევრები.

გამოფენა დიდძალ ხალხს იზიდავს, იგი კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდება.

ჩვენი მუზეუმების ღირსების საქმე

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისა და დიდი ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის. ამ სამზადისში ჩაბმული არიან მუზეუმებიც, სადაც თავმოყრილია უამრავი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები, ხალხთა თავისუფლებისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლის უტყუარი დოკუმენტები.

დიდი ისტორიული თარიღების ღირსეულად აღნიშვნისა და მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში მუზეუმების როლის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 1965-1966 წლებში იწყობა მუზეუმების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერება.

ბევრი სამუშაო აქვთ მუზეუმებს — საფუძვლიანად უნდა გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი, შეგროვებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა და ფონდების დაკომპლექტება. მუზეუმების პროფილისა და სპეციფიკის მიხედვით უნდა მოხდეს არსებული ექსპოზიციების სრულყოფა და უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში შეიქმნას სრულფასოვანი ექსპოზიციები, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, კომუნისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგებში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი ტრადიციები.

ჩვენი მუზეუმები ადგენენ და აზუსტებენ მომავალი მუშაობის გეგმებს. საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი საკავშირო დათვალიერების პერიოდში მოაწყობს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამსახველ გამოფენას, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას. გამოიცემა მუზეუმის მეგზური. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ხელახლა მოაწყობს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველ სტაციონარულ ექსპოზიციას და რევოლუციამდელი ხანის საზოგადოების ისტორიის ამსახ[illegible] კოტონის წიგნების ფაბრიკაში და სხვ. დათვალიერების პერიოდში მოეწყობა მოძრავი გამოფენები: „საბჭოთა თბილისი", „თბილისელი მეომრები დიდ სამამულო ომში", „თბილისი მხატვრულ შემოქმედებაში" და სხვ.

აჭარის რევოლუციის მუზეუმი მოამზადებს მუზეუმის მეგზურს, გამოავლენს და შეაგროვებს მასალებსა და ნივთიერ ექსპონატებს რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებზე. მოაწყობს სამეცნიერო სესიებს თემებზე: „აჭარა დიდი სამამულო ომის წლებში", „სერგო ორჯონიკიძის დაბადების 80 წლისთავი", „პეტერბურგის ბრძოლის კავშირის" დაარსების 70 წელი" და სხვ. მუზეუმი საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყობს მოძრავ გამოფენებს თემებზე: „კ. მარქსის და ფ. ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა", „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა", „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში" და სხვ.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნის მუზეუმებს ბათუმის რაიონის ახალშენის კოლმეურნეობაში, ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში და ბათუმის პირველ საშუალო სკოლაში.

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი გადაახალისებს არსებულ სტაციონარულ ექსპოზიციას და ახალი მასალებით შეავსებს ქვეგანყოფილებებს: „ილია ჭავჭავაძე და ხალხთა შორის მეგობრობა", „ილია ჭავჭავაძე და საბჭოთა თანამედროვეობა". მოეწყობა ერთდროული გამოფენები თემებზე: „შოთა რუსთაველის 800 წლისთავი", „აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავი" და სხვ. 1966 წელს მასში სრულდება ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის გახსნის 15 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით გაიმართება სამეცნიერო სესია. ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცემა სახლ-მუზეუმის ახლად შევსებული და შესწორებული მეგზური.

რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გააახლებს ძველი რუსთავის ექსპოზიციას და ახლად მოაწყობს სოციალისტური რუსთავის ექსპოზიციას. ამ მიზნით მოეწყობა ექსპედიციები ქალაქის დიდ საწარმოებში — მეტალურგიულ ქარხანაში, ქიმკომბინატში, სინთეტური ბოჭკოს ქარხანაში და სხვ. ექსპედიცია შეისწავლის საწარმოთა დაარსების ისტორიას, შეაგროვებს ნივთიერ დოკუმენტურ მასალებს, გააცნობს კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმიანობას.

ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დათვალიერების პერიოდში ახალი ნივთიერი მასალებით გაამდიდრებს წინა ისტორიული ხანისა და ბუნების განყოფილების ექსპოზიციებს, მოაწყობს ისტორიის საბჭოთა პერიოდის ექსპოზიციის ნაწილობრივ რეექსპოზიციას. შეავსებს ფონდებში დაცულ და ექსპოზიციაში გამოტანილ ნივთების სამეცნიერო პასპორტებს.

მუზეუმების მუშაობის საკავშირო დათვალიერების პერიოდში მრავალ საყურადღებო ღონისძიებებს განახორციელებენ ქუთაისის, ზუგდიდის, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ბაბაჯურის, თელავის, სიღნაღის, მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

მაგრამ ყველა მუზეუმი ერთნაირი მონდომებით როდი ემზადება საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად. გურჯაანის, მესტიის, ჭიათურის, ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი ერისთავის სახლ-მუზეუმებს დღემდე არ მოუხაზავთ მომავალი მუშაობის გეგმები. ხოლო საქართველოს ხელოვნების ისტორიისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუზეუმები რატომღაც არ ფიქრობენ დათვალიერებაში მონაწილეობის მიღებას, მაშინ, როცა, დებულების თანახმად, დათვალიერებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა მუზეუმი, მიუხედავად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა.

მუზეუმების წინაშე მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. სრულიად საკავშირო დათვალიერების პერიოდში საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას მუზეუმების მთელი მუშაობა. მივაღწიოთ მუზეუმების როლის გაძლიერებას მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის განყოფილებათა ექსპოზიციის შექმნას. ხოლო იქ, სადაც იგი არის, — ძირეულად გაუმჯობესდეს და გამდიდრდეს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით. ექსპოზიციაში მაქსიმალურად უნდა აისახოს კომუნისტური მშენებლობის დიადი მიღწევები.

სრულფასოვანი ექსპოზიციები უნდა შეიქმნას ისტორიულ მუზეუმებსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ისტორიულ განყოფილებებში. საფუძვლიანად უნდა გაუმჯობესდეს საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მუზეუმებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ბუნების განყოფილების ექსპოზიციები, სადაც ფართოდ იქნება ასახული საბჭოთა ადამიანის მიერ ბუნების შემოქმედებითი გარდაქმნა.

ექსპოზიციების გარდაქმნისას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს გიდის, მაგნიტოფონის, რადიოდანადგარების დანერგვასა და გამოყენებას. ექსპოზიცია უნდა გამოირჩეოდეს ღრმა შინაარსით, მხატვრული სიმძაფრით, პატრიოტიზმითა და გამომსახველობით.

საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მასობრივი და მეცნიერულ-საგანმანათლებლო მუშაობა. მუზეუმებმა უფრო მეტად უნდა განამტკიცონ კავშირი საწარმო-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სკოლებთან, საზოგადოებებთან, მოსახლეობასთან, მათთვის მოაწყონ ექსკურსიები, ლექციების ციკლი, წრეები, მოძრავი გამოფენები, საღამოები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. ამ მუშაობაში ფართოდ უნდა ჩაებან მუზეუმებთან არსებული სამეცნიერო საბჭოები და სექციები.

მუზეუმების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარება მუზეუმის მუშაკთა ღირსების საქმეა.

ა. კალანდარიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი.

საკავშირო ეკრანზე

მხატვრული კინოფილმების მთავარ სამმართველოში მოეწყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალი ნაწარმოების — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"-ის განხილვა. (სცენარის ავტორები — ნ. წულეისკირი და მ. ქიაურელი, დამდგმელი-რეჟისორი — მ. ქიაურელი).

განხილვის შემდეგ გამოითქვა ბევრი საყურადღებო აზრი, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ეს ფილმი ჩაფიქრებულია, როგორც თავისებური სახალხო წარმოდგენა, ფილმში უარყოფითი პერსონაჟების სატირულ მხილებასთან ერთად წინა პლანზე წამოწეულია ლირიკული ხაზი. სამიჯნურო ვოდევილური მოტივები ხელს არ უშლის სოციალური ქვეტექსტის სიძლიერეს.

მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს დასკვნაში ნათქვამია:

— ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" მეტად საინტერესო ნაწარმოებად მიგვაჩნია. იგი შესრულებულია თავისებური შემოქმედებითი ხელწერით, კარგად გამოყენებული ფოლკლორული მოტივები ნაყოფიერს ხდის რეჟისორის ძიებას კინოხელოვნების მეტად რთულ ჟანრში, — ვოდევილში.

გაივლის ცოტა ხანიც და მილიონობით საბჭოთა მაყურებელი ნახავს „ქართული ფილმის" ამ ახალ ნაწარმოებს.

ს. რიჟინაშვილი

მეთევზეები.

ფოტო გ. მანიასი.

სეინერი გავიდა ზღვაზე

ნარკვევი

ისინი არც თესენ, არც მკიან, მაგრამ მაინც კოლმეურნეები არიან. მათი მიწა ვრცელი ზღვაა. შავი ზღვა ყოველთვის განთქმული იყო თევზით, ჩვენი წინაპრები უხსოვარ დროშიც მარჯვე მებადურნი იყვნენ. თამარ მეფის დროს ბაზრებში ბლომად გამოჰქონდათ დამარილებული და გამხმარი თევზეული.

ისტორიამ ბევრი ცნობა შემოგვინახა ქართველ მეთევზეებზე. ლევან დადიანს ეკლესიებისათვის არაერთხელ შეუწირავს ყმა-მებადურნი. მეთევზეობა მეურნეობის საკმაოდ განვითარებული დარგი ყოფილა, ამაზე ლიტერატურულ წყაროებში გამოყენებული ტერმინებიც მიგვითითებს.

მაგრამ ისტორია შორს წაგვიყვანს. ამ საქმეს ისტორიკოსი უფრო დაადგამს თავს. მე კი დღევანდელ კოლმეურნე მებადურეებზე მინდა გესაუბროთ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დღესასწაულებს კიდევ შეემატა ერთი სახალხო ზეიმი — მებადურის დღე. მებადურის დღე მთავრობის გადაწყვეტილებით წელს პირველად აღინიშნება ივლისის მეორე კვირას და ამიერიდან ყოველწლიურად ამ დროს ჩატარდება.

ჩემი ბავშვობა მეთევზეებთან მაქვს გატარებული, პირველი მოთხრობაც — „კაპარჯინის მებადურნი" — მათს მშფოთვარე ცხოვრებას მივუძღვენი. ამ დღესასწაულის დაწესება მებადურებზე ნაკლებად როდი გამიხარდა. ისევ გამიტაცა შავმა ზღვამ, ჩემთვის მუდამ თბილმა და საოცნებომ. სოხუმში განთქმულ მეთევზეებს ვიცნობ, მაგრამ ბავშვობა მაინც ვერ წარმომიდგა თვალწინ, თევზის ჭერის ტექნიკამ, უცნაურმა მანქანებმა წარსული როდი გამახსენა, შინნაქსოვ ბადესა და ბამბუკის ჯოხზე ჩამოკიდებულ ანკესს ახლა ბავშვებიც არ ეტანებიან.

ერთი ღამე სეინერზე დავყავი. სეინერი მექანიზებული გემია, საოცარი სიდიდის ბადე ჩაუშვა ღრმა წყალში, მერე მავთულზე გამობმული ელნათურაც მიაყოლა. სინათლემ ფარვანასავით მიიზიდა ძილგამკრთალი თევზი. ათი კაციც ვერ ამოსწევს ასეთ ბადეს, მაგრამ დოლოცილმა მანქანამ ერთი დატრიალება და რვაასმეტრიანი ბადე გემბანზე გადმოაპირქვავა. სტავრიდა, კეფალი, ქაშაია, თალლოთა საცოდავად აფართხალდნენ. ერთი ცქრიალა ფერადი თევზი მაღლა შეხტა და წყალში დაეშვა მოქნილად. ზღვის მამალი იყო, შემეცოდა და ბრიგადირ არტემ ფირცხალავას ვუთხარი:

— რა ლამაზი მამალი დაიკარგა!

— დაკარგული მაშინ იქნებოდა, აქ რომ დარჩენილიყო, ახლა თავს უშველა.

ზღვის მამალზე ლამაზი თევზი არ არსებობს, მაგრამ გემოთი ყველაზე უარესია.

არტემ ფირცხალავას ბრიგადამ იმ ღამეს ბევრი ნადავლი გამოსტაცა ზღვას. ზღვა მშვიდი იყო, არც კი ნანობდა, მისი შვილები ასე უმოწყალოდ რომ მიჰყავდათ დასაკონსერვებლად.

ფირცხალავამ თავისი ცხოვრება და თავისი ოჯახი ზღვას მიანდო. როცა ეს კოლმეურნეობა დაარსდა, ახალგაზრდა იყო. ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მეზობლებს ამოუდგა მხარში და პირველი ბადე ჩაუშვა წყალში. მაშინ ძველებური ნავი ჰქონდა, ბადეც უხეირო იყო, მაგრამ ზღვის ასავალ-დასავალი იცოდა და თევზი არ აკლდა.

მერე ტექნიკა დამკვიდრდა. თევზის ჭერის მექანიზაციის, ახალი, რთული მანქანების ათვისება არტემს გაუჭირდა, მაგრამ მისმა შვილებმა შალვამ და გოგიმ ეს ძნელი საქმე ადვილად დაძლიეს. მამას მხარში ამოუდგნენ და ზღვის უხვ კალთას დაეწაფნენ. ნადავლით დატვირთული სეინერი თევზის ქარხანას რომ მიადგება, ფირცხალავები თავიანთ ნანადირევს დილიდან საღამომდე ცლიან.

— აბა, ჩქარა, ჰოხოლელ! — დასძახის მადლიერი მამა გემის კოშკურიდან.

უკვე ჭაღარამორეულს, მაგრამ მხნეს და წარმოსადეგ არტემს მეგობრები „ზღვის ლომს" ეძახიან. ფირცხალავები ხელცარიელნი არასოდეს არ დაბრუნებულან. თუ აფხაზეთის მიდამოებში ვერ მიაგნეს თევზის ჯარავებს, აჭარას მიაშურებენ, იქაც თუ ბედმა უმტყუნათ, ოდესაში ამოჰყოფენ თავს, ხანამ ნადავლით არ გალაღდებიან, თავიანთ ნავსადგურს არ მიადგებიან.

ახლა ავიაციაც მხარში ამოუდგა მებადურებს. მსუბუქი თვითმფრინავი დაჰქრის ზღვის ზედაპირზე. საგანგებო ხელსაწყოთი ჰაერიდან აღნიშნავს თევზის ჯარავებს. სად, რომელ ადგილას, რა ჯიშის თევზს წააწყდება, ან რაოდენს, ან ბარათით შეატყობინებს სეინერს. თვითმფრინავმა საგრძნობლად გაუადვილა კოლმეურნეებს თევზზე ნადირობა.

ძალიან გაიზარდა ეს პატარა, 1931 წელს დაარსებული კოლმეურნეობა, მის მიერ მოპოვებული ნედლეულის გადამუშავებას ძლივს აუდის საგანგებოდ აშენებული საკონსერვო ქარხანა.

ეს კოლმეურნეობა გაიზარდა, მაგრამ მისი თავმჯდომარე ისაკ კირტავა წლებში ოდნავ მოიხარა. წლითა სიმძიმე ვერაფერს დააკლებდა, სამამულო ომს რომ არ გაეტეხა. კრასნოდართან იბრძოდა, პირველი ტყვია არაფრად ჩააგდო, მეორესაც კიდევ აიტანდა, მაგრამ მესამემ ვეღარ გაუძლო. სოხუმის ჰოსპიტალში რომ ჩამოიყვანეს, სწორედ იმ დღეს ამ ქალაქს ხვდახიანი თვითმფრინავი ტყვიას აყრიდა. მის ცოლს, ქსენიას მარცხენა ფეხში მოხვდა ბრმა ტყვია. ისინი ჰოსპიტალში შეხვდნენ ერთმანეთს. საოცარია, ისაკიც მარცხენა ფეხში იყო დაჭრილი.

— ქსენია ხარ? — დაიძახა ისაკმა, როცა მეორე ოთახში ცოლის ხმა გაიგო.

— ქსენია ვარ, შენ? —

— ვერ მიცანი?

— ისაკ!

— ქალო, არ გაინძრე, არ ადგე! —

— როგორ არ ავდგე. ჩემი ისაკი აქ ყოფილხარ და არ გნახო? — შესძახა ქალმა.

— თვითონ მე მოვალ, მე!

მაგრამ არც ისაკი გაუშვა მკაცრმა ექიმმა. მერე, ნასადილევს, ექიმები რომ წავიდ-წამოვიდნენ, გამოჯანსაღებულმა მეგობრებმა ხელში აიტაცეს ისაკი და თავის დაჭრილ ცოლს შეახვედრეს.

ქსენია და ისაკი თითქმის ერთსა და იმავე დღეს გამოწერეს ჰოსპიტალიდან.

ჩამქრალი კერა ისევ გაჩაღდა, რამდენიმე წლის შემდეგ პატარა ვაჟმა მათს ოჯახში დიდი სიხარული შეიტანა.

ისაკი ისევ კოლმეურნეობას ჩაუდგა სათავეში. უკვე ნაომარი, დანაღმული და ნაპარტახევი ზღვა სახიფათო იყო, მაგრამ მეთევზეები, დარსა თუ ავდარში, თავს არ ზოგავდნენ.

კოლმეურნეობა მალე გაიმართა წელში და ახლა შავი ზღვის სანაპიროზე ბადალი არა ჰყავს.

ამის ნათელსაყოფად ორიოდე ციფრსაც მოვიყვან. წლეულს გეგმით კოლმეურნეობას 15600 ცენტნერი თევზი უნდა დაეჭირა. ჯერ მხოლოდ ნახევარი წელია გასული და უკვე მოპოვებულია 17300 ცენტნერი. ვინ იცის წლის ბოლომდე კიდევ რამდენს დაიჭერენ.

ისაკ კირტავას კაბინეტში, საწერ მაგიდაზე დევს ფოტოსურათი, ამ სურათზე გამოსახულია კაუჭზე ჩამოკიდებული თევზი, იქვე კაცი დგას, რომელიც თევზს მხოლოდ მკერდამდე სწვდება. ეს კაცი ლაზი მუსნი აგირ-ოღლია. მუსნი ძველებურად, მამაპაპურად ზის ნავში, ზღვაში ანკესებს უშვებს და თევზის წამოგებას მოუთმენლად უთვალთვალებს. იმ დღეს მუსნის დიდი ჯაფა დაადგა. მისი ანკესი ბედნიერი გამოდგა. უზარმაზარი ხვია წამოეგო, მუსნიმ ვერაფრით ვერ ამოათრია მძლავრი თევზი, მისი ძახილიც ახლომახლო სეინერებმა ვერ გაიგონეს. მარტო დარჩნენ თევზი და კაცი. იბრძოდნენ, იწვალეს. ბოლოს მუსნიმ ხერხს მიმართა, ანკესი ნავის კიჩოზე გამოაბა და ნაპირისკენ მოუსვა. ძალიან ანჩხლობდა ხვია, ხან მარცხნივ გაიწევდა, ხან — მარჯვნივ, მაგრამ გამოცდილ მეთევზეს თავი მაინც ვერ დააღწია. მუსნის მეგობრები წამოეშველნენ და ნაპირზე გამოათრიეს ოთხმეტრიანი ხვია. ეს უშველებელი ზღვის თევზი აწონეს და ნახევარი ტონა გამოვიდა. ამხელა ხვია ჯერ არავის დაუჭერია შავ ზღვაში.

— ხვიამ იცოდა ვისთან მისულიყო, ვინ გაუწევდა პატრონობას — ღიმილით მითხრა მუსნიმ და მზით დამწვარი ხელი გამომიწოდა.

ლაპარაკში კირტავა ჩაერია.

— შენ ბედიც გქონია, თორემ ჰემინგუეის ბერიკაცივით მარტო ძვლებს ამოიტანდი ზღვიდან.

ამ სიტყვებმა შეუმჩნევლად მუსნის მოხუცება დაუყვავა. როცა ნავიდან ანკესებს გადაუშვებს, გული შეუკანკალდება ხოლმე, იქნებ ისეთი ხვია კიდევ ამოიყვანოს. მეთევზეები კი ეხუმრებიან:

— იმ ხვიას ქმარი და შვილები შენს ანკესს ელოდებიან.

— ნუ გეშინიათ, იმათი ჯერიც დადგება.

ხვიას დაჭერით ანკესი ცოტა გამრუდებული იყო, მუსნიმ გამართა, გაპრიალა და საგანგებოდ შეინახა.

ზღვა საერთოდ ყოველთვის პოეტურია, ხან მშვიდია, მოლივლივე, ხან შფოთავს და ნაპირებს ანჯღრევს. მუსნისათვის სულ ერთია, მაინც არ შორდება ზღვას, ხან გახურებულ თევზნაბაშია, ხან ქვიშაზე მზის აბაზანებს იღებს, მთვარესაც არ ერიდება. უყვარს ღამით ზღვა, ფიქრი და ოცნება. აცქერდება ტალღას. ვინ იცის ეს მოშრიალე ტალღა საიდან მოდის. იქნებ იქ, იქითა მხარესაც მასავით ზის ლაზი და ტალღას ეკითხება, საიდან მოდიხარო.

რა უთხრას ტალღამ, ტალღამ რა იცის საიდან მოდის, ბევრს ფიქრობს მუსნი, ფიქრმა გული შეუპყრა. ხანდახან ისიც მოაგონდება, იმ ხვიას რომ უთხრა:

— თევზო, შენ ქვეყანა მოვლილი გაქვს, თურქეთში იყავი? ლაზები ნახე? არა, ლაზები არ გინახავს, თორემ თავს ვეღარ დააღწევდი, ლაზები კარგი მეთევზეები არიან!

მუსნიმ კირტავას უთხრა:

— ისაკ, ის სურათი მომეცი, ხარებში უნდა გავუგზავნო ჩემს მოკეთეს.

— აგი ორი მოგეცი!

— კიდევ მინდა, რა ვქნა, მთხოვენ, ბევრი ნათესავი მყავს.

— სურათი მე მჭირდება, მებადურის დღისთვის დიდ გამოფენას ვაწყობ. გადავაღებინებ და მერე წადი.

მუსნი იქვე ჩამოჯდა სკამზე. კირტავა მე მომიბრუნდა:

— ჩვენი მუსნი ჩინებულად ხვდება დღესასწაულს. ამაზე დიდი ხვია არავის დაუჭერია.

— არც შენ ხვდები ნაკლებად, — უპასუხა მუსნიმ. — გუშინწინ შვილიშვილი შეგეძინა. ახლა წვერი თუ არა, ულვაში მაინც მოუშვი, ბაბუა ხარ!

კლიმენტი გოგიავა

ღია წერილი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს აკადემიკოს **გიორგი ჯიბლაძეს**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს **ევგენი ხარაძეს**.

ზედმეტია იმის გამო ლაპარაკი, თუ განვითარების რა დონეს მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ, — პოეზიამ, პროზამ, დრამატურგიამ, კრიტიკამ, — საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ეს დონე ცნობილი და აღიარებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. ცხადზე ცხადია, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა აუცილებელია. ამ მხრივ ცოტა როდია გაკეთებული, მაგრამ საჭიროა კიდევ უფრო მეტის გაკეთება. სწორედ ამიტომ, იქნებ არაბუნებრივი და ბევრისთვის მოულოდნელიც იყოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩვენი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების სასახლეში, დღემდე არ არსებობს ქართული საბჭოთა ლიტერატურის კათედრა. უნივერსიტეტში ასწავლიან თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, მაგრამ ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ გაიზრდებოდა მეცნიერული მუშაობისა და სწავლების ხარისხი ასეთი სპეციალური კათედრის დაარსებით. ამ კათედრის მიზანი, ალბათ, იქნება ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის, მისი განვითარებისა და დღევანდელი მდგომარეობის კრიტიკულ-მეცნიერული დამუშავება; ჩვენი სტუდენტი-ახალგაზრდობის ლიტერატურულ-კრიტიკული გემოვნების შემდგომი ამაღლება და სწორი ორიენტირება თანამედროვე ლიტერატურის პრობლემატიკაში; უახლესი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა, მისი წარმოდგენა საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურული მოვლენების ფონზე; დღევანდელი ქართული მწერლობის სასიცოცხლო ამოცანების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა თანამედროვე ქართულ კულტურაში; ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგთა ინტენსიური ურთიერთკავშირის კვლევა და წახალისება; ფართო ლიტერატურული დისკუსიების, ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა და წიგნების პროფესიული საჯარო განხილვების, დისპუტების, შეხვედრებისა და აზრთა ურთიერთგაზიარების ორგანიზაცია და ბევრი იმ სხვა საპროგრამო თუ კონკრეტული საკითხების დღის წესრიგში დასმა, რომლებიც აუცილებლად წამოიჭრება ასეთი კათედრის წინაშე.

აქედან გამომდინარე, ვიმედოვნებთ, დაჩქარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული საბჭოთა ლიტერატურის კათედრის ჩამოყალიბება, რითაც დიდ სამსახურს გაუწევთ ჩვენს ეროვნულ კულტურას და მეცნიერებას.

კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ანა კალანდაძე, კარლო კალაძე, სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მირცხულავა, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, ნოდარ ჩხეიძე.



ძველი თბილისი. მხატვარი ელ. ახვლედიანი.

საქართველოს ბუნების მშვენიერების მომღერალი

იმდენად ფერადოვანია საქართველოს ბუნება, იმდენად თვალწარმტაცად „დახატული" და „დეკორატიული", რომ არ შეიძლება მას თავისი მომღერალი და მხატვარი არ ჰყავდეს.

მართლაც, არაერთ ქართველ მწერალსა და პოეტს შეუსხამს ხოტბა უბადლო „[illegible] ზურმუხტისათვის", არაერთს უცდია მისი სილამაზის სიტყვითა თუ სიმღერით გამოხატვა, მაგრამ, [illegible], ილიას, აკაკის, ვაჟას თუ გალაკტიონის სამშობლოში ძნელად თუ დავასახელებთ მათ ხადარ ისეთ მხატვარს, რომელსაც საქართველოს ბუნება, მისი თავისებურება, ფუნჯისა თუ პალიტრის საშუალებით მთელი ძალით აემეტყველებინოს.

მით უფრო ყურადღების ღირსია ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი ქართველი მხატვარი ქალის ელენე ახვლედიანის შემოქმედება, რომელიც თავისი [illegible] ფუნჯით ფართოდ გადაწვდა საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთს და ხასიათით ფერწერული ტილოებით ჩვენი ბუნების [illegible] სიმშვენიერე გადმოგვიშალა.

შემთხვევით არ გახდა ელენე ახვლედიანი პეიზაჟისტ მხატვრად. ამას თავისი ქვეყნის ლამაზი გარემოც ჰკარნახობდა და თანდაყოლილი პოეტური ბუნება და აღზრდის პირობებიც, რომლის გამოც მის მეხსიერებაში განსაკუთრებულ [illegible] ხმები თუ ლურჯღრუბლებდაბურული ცის კამარა, ხასხასა ბალახი თუ ფოთოლგაცვენილი ხე. და აკი უფარდა კიდეც ბავშვობიდან ბუნებასთან უშუალო კავშირი, მეზობელ ეზო-კარიდან ეზო-კარამდე სიარული, მორეული ტყეების მონახულება და თვალის მიყოლებაც მისთვის ჩვეულ პეიზაჟში მეტრილ რაიმე ცოცხალი „წერტილისათვის".

და ერთნაირად მუსიკალურადაც აღიქვამდა ჩიტების ჟივილ-ხივილს, ქარის შმაგ სრბოლას თუ სახლების ირგვლივ დაუსრულებელ რაპორტებად შემოვლებულ არშია-ჩუქურთმებს. საათობით უყურებდა და უსმენდა წყაროს წყლის ჩუხჩუხს, ბაღებს და სახლებს და ოცნებით ხატავდა.

ბოლომდე შერჩა ბავშვობაში გამოვლენილი მუსიკის სიყვარული და, ალბათ, შემთხვევითი არ იყო ცხოვრების გზაზე გამორჩენილ საბჭოთა მუსიკოსებთან დამეგობრება (მათ შორის [illegible], ნეიგაუზთან, დოლიძესთან და სხვ.). მაგრამ სწანს სძლია გარემოს მხატვრულად ასახვის სურვილმა და თანდაყოლილი მუსიკალობა კი მხატვრის ნახატში, მის ხაზსა და ფერში ჩაქსოვა.

ან რა არის საკვირველი! ფერებს ხომ თავიდანვე მუსიკალურ პასაჟებად განიცდიდა, ბუნების საოცარ ჰარმონიად, ვნებათა ღელვისა თუ სათუთ გრძნობათა გამოსახატველად და სიტყვაუთქმელს ისიც აბარებდა, რომ გულისნადები ქაღალდსა და ტილოზე უხმოდაც „ხმას იღებდა", ნახატის, კოლორიტისა თუ კომპოზიციის შესაბამისად.

ფერები. არავინ მხატვარი ეტრფოდა მათ გაცილებით. არავინ მათგანი ილტვოდა სამხრეთისაკენ ვან-გოგივით, რათა [illegible] „მზეს, ყვავილებს და ფერებს შეეგრძნო". ელენე ახვლედიანი კი თვითონ იყო მზიური ქვეყნის შვილი და მის თვალს ფერებით განებივრება არ აკლდა.

აღმოსავლეთ საქართველოს შესაშური ნაირფეროვნებით მომხიბვლელობით გამორჩეული ქალაქის, თელავის, [illegible] ხასიათის სილაღეც დაჰყვა და პირდაპირობაც, [illegible] სიდინჯეც და შეუპოვარი ტემპერამენტიც.

თელავში გაატარა მან ბავშვობისა და ყრმობის წლები და იქვე, მამის მეგობრის, [illegible] ქართველიშვილის სახით პირველად იხილა პირისპირ ცოცხალი მხატვარი, რომლის ნახატების „დახედვა" ერთგვარ [illegible] და სულგანაბულიც მისჩერებოდა ჯერ კიდევ მცირეწლოვანი, ცნობისმოყვარე და ერთბაშად დაუდეგარი გოგონა, რომელიც მანამდე უფრო წიგნებითა და მუსიკით გატაცებული ჩანდა.

ეგებ სწორედ მაშინ გადაწყდა ელენე ახვლედიანის მომავალი. ვინ იცის! მაგრამ, ბავშვის მისწრაფება უშეცდომოდ [illegible] არ არის და გარკვეულ მიმართულებას მოითხოვს. ამიტომაც, თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ბედად შეხვდა გამოცდილი პედაგოგი, მხატვარი ნიკოლოზ სკლიფასოვსკი, რომლის დაკვირვებულ თვალს არც მოწაფის ნიჭი გამოეპარა და არც მისი „მერყევი" მხატვრული ბუნება. მომავალი უწინასწარმეტყველა, თავის კერძო სასწავლებელში ნატურაზე მუშაობას შეაჩვია და სისტემატურ ცოდნასთან ერთად მხატვრობის ჭეშმარიტი სიყვარულიც განუმტკიცა.

და დადგა 1919 წელი. ქართველ მხატვართა საზოგადოების ინიციატივით მოეწყო „ქართული თანამედროვე მხატვრობის გამოფენა" და 15 მხატვართა შორის ელენე ახვლედიანმაც მიიტანა ფერადები „ნაზი და ახალგაზრდული" ტილოებით.

ამ გამოფენას მეორე მოჰყვა... მხატვრის „გაუბედავ" ნაბიჯებს ძალა შეემატა. უფრო დამაჯერებით გაჰყვა არჩეულ გზას და, ბუნებრივია, ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიის კარსაც მიადგა.

აკადემიაში გიგო გაბაშვილის კლასში მოხვდა. მაგრამ სულ მოკლე ხანში სტიპენდიანტად გაიგზავნა უცხოეთში და მისი აზრები თუ გულისყური სხვა მხრივ წარიმართა.

ძნელია თქმა იმისა თუ რას განიცდიდა იმ ხანად მხატვარი, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე იტალიამ და საფრანგეთმა. ან თელავის, თბილისის და დანარჩენ ნანახ ქალაქებს შემდეგ რარიგ აღიქვა რომი, მილანი, ფლორენცია... და პარიზიც, სადაც 1924 წელს ჩავიდა, იტალიაში წლინახევრის ყოფნის შემდეგ...

მხატვარს ნაკლებად შემორჩენია იმ დროის ნამუშევრები (მათი უმრავლესობა უცხოეთში მოწყობილ გამოფენებზე გაიყიდა), თავისთავზე კი ბევრი ლაპარაკი არ სჩვევია. მაგრამ ძუნწი მხატვრული მასალაც გვიჩვენებს:

ვერც იტალიის დიდოსტატთა ქმნილებებმა და ვერც უცხო მხარის სიმშვენიერემ ვერ დაუჩრდილა საქართველოს სიყვარული. ვერ დაფარეს მშობლიური ქვეყნის შთამბეჭდავი სახეები და ბრწყინვალე მოგონებითა და ხალხმრავალი ქუჩებით მონატრულის თვალწინ გაცოცხლებით კახეთის მშვიდი პეიზაჟები და თბილისის მყუდრო ქუჩები ეხატებოდა („კახეთი. ზამთარი", „გრემი", „ძველი თბილისი" — 1924; „საბჭე ზამთარი", „დასვენება გზაზე" — 1925; „ქართული პეიზაჟი", „ძველი თბილისი", „ძველი სამრეკლო" — 1926 და სხვ.). და ეგებ ამითაც აიხსნება, რომ თვით პარიზსაც მყუდრო და ინტიმურ ხატავდა. როგორც მხატვარი, თითქოს საგანგებოდაც გაურბოდა მის ორომ-ტრიალს, რომ სილამაზითა და ძეგლებით სახელგანთქმულ ქალაქში პირველყოვლისა მუშათა უბნებს, მივიწყებულ ვიწრო ქუჩებსა და კუთხეებს ხედავდა ერთმანეთთან მიჯრილი [illegible] სახლებით, რომელთაც აქა-იქ თუ-და შემორჩენიათ ნაცრისფრად შეფერილი ცის მცირე ნაგლეჯი („პარიზის ერთ-ერთი კუთხე" — 1925, 1926, „პარიზის მუშათა უბანი", „პარიზი" და სხვ.).

პარიზში ელენე ახვლედიანი ერთ ხანად კოლაროსის აკადემიაშიაც დადიოდა და ფერწერის ახალ, ნოვატორულ გზებსაც ეზიარა, რაც მის იმ დროინდელ ნამუშევრებშიაც ნათლად აისახა. მაგრამ კლასიკურ მემკვიდრეობასთან გაცნობის შესაბამისად მხატვრის შემოქმედება [illegible], სამშობლოში კი ფერწერულ რეალისტურ სტილის გზას, რომელსაც თავისი საკუთარი დეკორატიული მიგნება მეტი მხატვრულობითა და რომანტიკულობითაც მოსავდა.

ამიტომ, თუმცა ელენე ახვლედიანის „პარიზის კუთხეებსა" და „უბნებს" აშკარად ეტყობა ფრანგული სტილი და ეგებ მონმარტრისა და მუშათა პარიზის უბადლო მხატვრის მორის უტრილოს გავლენაც, მაგრამ უცხოეთში შექმნილ იმ ნამუშევრებს, რომლებიც საქართველოს ასახავს, [illegible] ევროპულ კულტურასთან ერთად, მეტი უშუალობა და ნაციონალური იერიც შემორჩათ.

აი თუნდაც ელენე ახვლედიანის მიერ 1924 წელს პარიზში შესრულებული „კახეთი. ზამთარი". ერთი შეხედვით ზამთარი ზამთარს ჰგავს და მით უფრო თოვლი თოვლს. მაგრამ, ელენე ახვლედიანის თეთრად გადაპენტილი მთაგორები, [illegible] თოვლში ჩაფლული ხევებითა და თეთრქუდა სახლებით — კახეთის ზამთარია, მხატვრის დაკვირვებისა და ემოციურ შეგრძნებათა საფუძველზე გუმანით მიკვლეული ძუნწი მხატვრული ხერხებით წარმოსახული.

ხუთი წელი დაჰყო მხატვარმა უცხოეთში. ხუთი საოცრად გრძელი და შრომით აღსავსე წელი, რომელმაც მის შემდგომ ცხოვრებაშიაც უდავოდ დიდი როლი ითამაშა. ღელვაც გადაუტანია პარიზის მხატვრობის ძალთა ჭიდილში ჩართულს, თუმც პირველ გამოფენაზევე ხვდა გამარჯვება. „დამოუკიდებელთა სალონში" გამოფენილი ორი ნამუშევრიდან ერთი — „ძველი თბილისი", გამორჩენილმა ფრანგმა მხატვარმა პოლ სინიაკმა შეიძინა და მხატვრის გულიც გაახალისა.

წარმატება წარმატებას მისდევდა. პარიზის მხატვრულ საზოგადოებას ყურადღების გარეშე არ რჩებოდა ელენე ახვლედიანის გამოფენებზე მონაწილეობა, ხოლო მისმა პერსონალურმა გამოფენამ ფრანგ ხელოვნებათმცოდნეთა თუ კრიტიკოსთა მოწონებაც დაიმსახურა, საკუთარი მანერის გამოვლინებითა და ქართული თემატიკით.

1927 წლის 5 ივნისს კი, საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებული მხატვრის პერსონალური გამოფენა თბილისში გაიხსნა. უცხოეთში სახელმოხვეჭილმა მხატვარმა, რომლის ნამუშევრებს იმ ხანად ნიუ-იორკი და ჰოლანდიაც მოევლო, შრომითი ანგარიში მშობლიურ ქვეყანასაც ჩააბარა.

სადღეისოდ ელენე ახვლედიანი პეიზაჟისტ მხატვრად არის მიჩნეული და ნაკლებად ახსოვს ვინმეს, რომ იგი საინტერესო ჟანრული ხასიათის სურათების ავტორია. ზოგი მათგანი ადრეც ჰქონდა შესრულებული, ზოგი კი პარიზიდან ჩამოჰყვა და ნაირფეროვნებას მატებდა ზემოხსენებულ გამოფენას („დასვენება გზაზე", „პარიზის ერთ-ერთი კუთხე").

ჟანრული ხასიათის ნამუშევარს მიეკუთვნება აგრეთვე ელენე ახვლედიანის მიერ სამშობლოში დაბრუნების პირველ წელს შექმნილი საინტერესო ტილო „ძველი თბილისი. მაიდანი" — 1927 წ., რომელიც საოცარი სიმართლით და რომანტიკულად გადმოსცემს დედაქალაქის ეგზოტიკურ პეიზაჟს — ერთმანეთზე დეკორატიულად აშენებული სახლებით, მათ [illegible] აივნებზე, შუკებსა და ქუჩებზე გამომზეურებული ცხოვრებითა და ძველი თბილისის მთავარი ძარღვის — მაიდნის „ალიაქოთით" — მეიდნელ-გამყიდველთა, ძმა-ბიჭების, ეტლების და, საერთოდ ადამიანთა მოუსვენარი მოძრავი მასით. და ისიც აშკარა ხდება, რომ ელენე ახვლედიანმა სწორედ ასეთ სურათთა მეშვეობით შექმნა მაყურებლისათვის დაუვიწყარი დეკორაციები ზურაბ ანტონოვის პიესისათვის „მზის დაბნელება საქართველოში", რომ აღნიშნული სპექტაკლის დადგმისათვის (1932 წ.) გამორჩენილ ქართველ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს „ძველი თბილისის" ეს უბადლო ოსტატი თვალთახედვიდან ვერ გამორჩებოდა.

კოტე მარჯანიშვილმა მხატვარი პირველად ქუთაისში, 1928 წელს გამართული პერსონალური გამოფენით „აღმოაჩინა" და გაიცნო. სურათთა დეკორაციულ პრინციპზე აგებულმა კომპოზიციებმა და უშუალობამ მოხიბლეს და დააჯერეს დიდი შემოქმედი ახალგაზრდა მხატვრის უნარში და დაინახეს მისი, როგორც ყოველთვის, ახლაც სწორი [illegible].

მხატვარმა კოტე მარჯანიშვილის თაოსნობით წლების განმავლობაში ზედიზედ გააფორმა „ლიანდაგი გუგუნებს", „როგორ", „ყვარყვარე თუთაბერი", „თეთრები", „ოტელო", „მზის დაბნელება საქართველოში" და სხვ. პიესები, რომელთა წარმატებას მხატვრის დიდი კულტურა და მხატვრული ჩანაფიქრის მოხერხებული ინსცენირებაც ხელს უწყობდა.

შემდეგ თანდათან გაფართოვდა ელენე ახვლედიანის მიერ გაფორმებულ სპექტაკლთა დიაპაზონი და არაერთხელ დაიმსახურა კიდეც ყურადღება როგორც დეკორატორმა მხატვარმა თვით მარჯანიშვილის, ფოთის, ბათუმის თუ ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის თეატრებში.

კოტე მარჯანიშვილთან შეხვედრის პირველ დღიდან მრავალი წელი გავიდა. მას შემდეგ ქართულ თეატრს არაერთი ახალი რეჟისორი შეემატა და ახალი მხატვარიც. მაგრამ, „ელენე ახვლედიანის თეატრალური შემოქმედება, — ნ. ურუშაძის თქმისა არ იყოს, — ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის შესანიშნავი, ცოცხალი ფურცელია, ჯერ ბოლომდე დაუწერელი. კიდევ ბევრი აქვს მას სათქმელი როგორც მხატვარს თეატრშიც, ფერწერაშიც".

თუმცა ელენე ახვლედიანი დიდი დიაპაზონის მხატვარია და ერთდროულად ჰპოვებს წარმატებას სახვითი ხელოვნების ისეთ დარგებში, როგორიც არის თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობა, დაზგური გრაფიკა, წიგნის გრაფიკა და სხვ., მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, მაინც ფერებისა და ფერწერული კომპოზიციის მეტად ინდივიდუალური ოსტატია, ფერმწერალი, რომლის ნამუშევართა შესაცნობად ავტოგრაფი არ სჭირდებათ.

ელენე ახვლედიანის ფერწერაში თავისი საკუთარი, თუ შეიძლება ითქვას, ლიტერატურულად დახვეწილი მხატვრული ენა აქვს, რომელიც ევროპულ კულტურასთან ურთიერთობის საფუძველზე გამდიდრებული და სახეცვლილი, საბჭოთა ქართულ ხელოვნებაში ახალ შენაკადად შეიჭრა, გადახალისებულა და ისევ მშობლიურ კოლორიტზე ამეტყველებულა.

მხატვრის მთავარი თემაც ხომ სამშობლო მიწაა, მისი მრავალფეროვანი ბუნება, ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებული კუთხეებით, მთებით, ზღვათა თუ ველებით.

თავისი შემოქმედებით უმთავრესად მათ უმღერის მხატვარი წლების განმავლობაში. ელენე ახვლედიანის თვალს ერთნაირად ატკბობს ქართლის ვრცელი დაბლობების ხვავიანი მიწა და სვანეთის თოვლიან მწვერვალთა მშვენიერება, გურიის კოხტა პეიზაჟთა გამჭვირვალე აქვარელის ფერები და იმერეთის ჭრელკაბა მთა-გორიები, აჭარა-აფხაზეთის ჭარბი მწვანე და უღელტეხილები...

ოქროს თავთავი და ჩაის პლანტაციები, ვენახები და ხეხილის ბაღები, ყამირი და გატეხილი მიწები, ახალშენები და ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლები — თანამედროვეობით იკიდებენ ფეხს მხატვრის შემოქმედებითს ცხოვრებაში, და ჯადოქმნილივით ცოცხლდებიან მხატვრის ფერწერულ ტილოებზე და გრაფიკულ ფურცლებზე.

ელენე ახვლედიანის პეიზაჟები მაყურებელს პალიტრის ხავერდოვანი ტონალობითაც იზიდავენ და მისი მაჟორული ხმაურობითაც, ისევე, როგორც იმ განსაკუთრებული დეკორატიულობით, რომელიც დაუჯერებლადაც მიაჩნია საქართველოს [illegible]. შემთხვევითი არ არის [illegible], რომ ელენე ახვლედიანის დიდ საიუბილეო პერსონალურ გამოფენაზე (1960 წ.), მნახველს ძალაუნებურად დიდი რუსი პოეტისა და საქართველოს პირმშო ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვებიც აგონდებოდა:

მე ვიცი:
უმღეროდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჰყვეს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოსნები.

(თარგმ. არ. აბაშიძისა)

მაგრამ, საქართველო ელენე ახვლედიანისათვის არა მარტო დეკორატიულად მომხიბვლელი და მრავალფეროვანი ქვეყანაა. იგი კომუნიზმის მშენებელთა ქვეყანაც არის, მშრომელ ადამიანთა და ბუნების გარდამქმნელთა სამშობლო. პატრიოტსა და გულწრფელ მხატვარს თვალთახედვიდან არც საკოლმეურნეო მინდვრები რჩება და არც [illegible] („[illegible]", „ბულაჩაური", „ბულაჩაურის კოლექტივი" და სხვ.).

ელენე ახვლედიანის კომპოზიციებში მკვეთრად ასახული დეკორატიული პრინციპი თვით საქართველოს ბუნებითა და მისი ქალაქების არქიტექტურული პეიზაჟებით, რელიეფისა თუ სახლების იმ თავისებურებით განისაზღვრება, რომელმაც ვიქტორ შკლოვსკის ათქმევინა: „ქუთაისის სახლები თეატრისათვის რეალისტური იქნებოდნენ, ქალაქისათვის კი მეტად თეატრალური არიან; ასე ახაზავდნენ განსაკუთრებულ მარჯანიშვილის თეატრში ძველ თბილისს".

ამასთან შედარებით, ელენე ახვლედიანის არქიტექტურულ პეიზაჟებში, ძირითადად სიბრტყეებით აგებულ კომპოზიციებს ვხედავთ, რომლებშიაც დავით კაკაბაძის პეიზაჟების მსგავსად, მეტად მცირე ადგილი ეთმობა ცასა და დედამიწას. თვით „არქიტექტურა" კი, ხან წინ წამოწეული მთლიანი კედლებით წარმოგვიდგება, ხან თითქმის შეუწყვეტლად ერთმანეთზე განლაგებული სახლებით და ხან კი ქალაქის მთლიან „თავსაფარად" მიჯრილი სახურავებით, რომელთაც ზევიდან დაჰყურებს მხატვარი. და მხოლოდ ოსტატის ხელს მიეწერება, რომ მხატვართან ერთად თქვენც ადვილად შეიცნობთ „სახურავებს" ქვეშ შეფარებულ ამა თუ იმ ქალაქს — იქნება ეს თბილისი, პრაღა თუ ტალინი.

ელენე ახვლედიანის შემოქმედება ნაკლებად ექვემდებარება პერიოდიზაციას, რადგან მხატვარი დროთა განმავლობაში შიგადაშიგ უბრუნდება ადრეულ თემატიკას, მანერას, სტილს. მაგრამ, მისი პირველი დროის პეიზაჟები მაინც უფრო გამოირჩევიან ფორმათა სიბრტყობრივი აღქმით, ფერთა [illegible] და ფერთა თუ კომპოზიციის დეკორატიული პირობითობით („ძველი თბილისი", „სიღნაღი", „მაიდანი"). მომდევნო ხანაში კი, მისი ფუნჯი და აღქმის ხერხებიც უფრო ნატურასთან მიახლოვებულია და პირობითობას საკმაოდ მოკლებულიც.

მაგრამ ბუნებასთან ყოველთვის უშუალოდ დაკავშირებული შემოქმედი კარგად ხედავს: ბუნება დიდი დეკორატორი მხატვარია და აჯობო მას — ნიშნავს სინამდვილეზე მაღლა დადგე, სინამდვილე მხატვრულად გაიაზრო.

ეგებ ამიტომ, ამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში, ელენე ახვლედიანის პეიზაჟები უფრო საგანგებოდ დეკორატიულებიც სჩანან, რასაც იგი არა მარტო კომპოზიციის, ფერთა ლაკონურობითაც აღწევს.

ლაკონურ ფერთა ერთმანეთთან დაპირისპირებით შექმნილი პეიზაჟები რამდენადმე აშორებენ კიდეც მხატვარს ქართულ კოლორიტს, მაგრამ ისინი ახლებურადაც ჟღერენ და ახალგაზრდულადაც და ძიებათა საფუძველზე მხატვრის მუდმივი წინსვლის იმედსაც გვისახავენ.

უსასრულოდ ბევრი შეიძლება ილაპარაკო ელენე ახვლედიანის შემოქმედებაზე. საგანგებოდ აღსანიშნავიც არის მისი ბალტიისპირეთისა თუ ჩეხოსლოვაკიის, ომის დროინდელი მოსკოვისა თუ უკრაინის პეიზაჟები და ნატურმორტები („ნატურმორტი ავტოპორტრეტით", „ქართული ნატურმორტი", „ფანჯარა" და სხვ.). მაგრამ მაგონდება მხატვრის სიტყვები: „რაც უფრო მალე ვასრულებ სურათს, მით უკეთესი გამოდის" და მეც მოკლედ მოვჭრი.

ელენე ახვლედიანის სტიქია ქართული პეიზაჟია. მხატვრის ხედვაზე პირველ ყოვლისა ქართული მიწა და მისი სოფელ-ქალაქები წარმოგვიდგება, აღმართ-დაღმართებითა და კლდოვანი მაღლობებით, [illegible] თავშეყრილი სახლებითა და ქუჩებსა თუ მდინარეთა ტალღებზე გადმოკიდებული თვალისმომჭრელად მოჩუქურთმებული აივნებით. წარმოგვიდგება ქართველი კაცის ხელით შექმნილი ის განუმეორებელი არქიტექტურული პეიზაჟები, რომლებიც უცხოთვალი, მართლაც, ზღაპრულ დეკორაციად უფრო აღიქმება, ვიდრე სინამდვილედ.

და ყოველთვის მახსოვს, რომ ელენე ახვლედიანი საქართველოს ბუნების მშვენიერების მომღერალია.

გულნარა ჯაფარიძე

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

„ვეფხვი" თუ „ჯიქი", „რაინდი" თუ „მეომარი"?

ინგლისური დღიურიდან

1964 წლის 30 ოქტომბერს ოქსფორდში ჩავედი. ჩემმა მასპინძლებმა დილითვე შემატყობინეს სასტუმროში, რომ პირველ საათზე ჩემთან ერთად ისაუზმებდა „ვინმე რობერტ სტივენსონი".

სტივენსონის ნახვის იმედი აღარ მქონდა.

ეს ის რობერტ სტივენსონია, რომელმაც თარგმნა და კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაბეჭდა „ამირანდარეჯანიანის" ინგლისური თარგმანი და ამჟამად „იუნესკოს" დავალებით მუშაობს „ვეფხისტყაოსნის" პროზულ თარგმანზე.

სტივენსონს, მართალია, მიწერ-მოწერა აქვს ზოგიერთ ქართველ მეცნიერთან, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან პირადად ვერ არავინ შეხვედრია. სამი წლის მანძილზე, რაც ლონდონში ვმუშაობდი (1959-1962 წ. წ.), ოქსფორდშიც და კემბრიჯშიც არაერთხელ ჩავსულვარ, მაგრამ „მისტიკურ" ქართველოლოგს ვერსად ვერ შევხვდი. იგი ოქსფორდიდან მოშორებით ცხოვრობს და იშვიათად სტუმრობს თავის სამუშაო მაგიდას.

და აი ახლა, როცა ინგლისში ლექციების წასაკითხად ჩავედი, ძველმა ინგლისელმა ნაცნობებმა მკითხეს: — რის ნახვა ვერ მოასწარი იმ სამი წლის განმავლობაში. პირველ რიგში ის გამახსენდა, რომ რობერტ სტივენსონის გაცნობა ვერ მოვახერხე.

მასპინძლებს ყველა ღონე უხმარიათ ჩემი თხოვნის შესასრულებლად და ბირმინგამის შექსპირის ინსტიტუტიდან ოქსფორდში ჩასულს ეს საოცნებო სიურპრიზი დამახვედრეს.

ოქსფორდის ერთ-ერთ რესტორანში შემოვიდა ორმოცდაათი წლის, უბრალოდ ჩაცმული, ხასიათიანი გარეგნობის მამაკაცი, რომელმაც ხმადაბლა, მეტად მორიდებით ნაილაპარაკა, რომ ის რობერტ სტივენსონი იყო.

ბევრი ვიმუსაიფეთ საქართველოზე, რომელსაც სტივენსონი მხოლოდ წიგნებით იცნობს, ქართველ მეცნიერებზე, რომელთაც ინგლისელი ქართველოლოგი დიდი პატივისცემით იხსენიებს, მაგრამ რომლებიც იგი არასოდეს არ შეხვედრია, იმ სიძნელეებზე, რასაც წააწყდება უცხოელი, რომელიც ქართულ კულტურას სწავლობს, მაგრამ მეტად მწირი ინფორმაცია გააჩნია საქართველოს შესახებ.

სტივენსონს დიდი და საინტერესო გეგმები აქვს: ხელაა დაამთავრებს „ვეფხისტყაოსნის" პროზულ თარგმანს, რომელსაც გამოსცემს ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მუშაობს ძველი ქართული ლიტერატურის სხვა და სხვა საკითხებზე, ხელს [illegible] აპირებს სტატიის გამოქვეყნებას „ომანიანის" თაობაზე და სხვა.

სტივენსონმა თავიდანვე უარი თქვა რუსთაველის ლექსის თარგმნაზე. იგი აღიარებს, რომ გენიალური ქართული პოემის ძირითადი ღირსება მის პოეზიაში, ლექსში, შაირშია ჩაქსოვილი. მას შესანიშნავად ესმის, რომ პროზული თარგმანი, რაც არ უნდა ზუსტი იყოს იგი შინაარსობრივად, ვერასოდეს ვერ გადმოსცემს დედნის პოეტურ ბრწყინვალებას. მაგრამ, რობერტ სტივენსონის ღრმა რწმენით, ლექსად თარგმანიც ვერ გამოხატავს ორიგინალის ღირსებას. მას თეორიულადაც კი ვერ წარმოუდგენია პოეტური ნაწარმოების ლექსად თარგმნა, ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ნაწარმოების სილამაზე და პოეტური ჟღერადობა.

ეს, რა თქმა უნდა, ძველი კამათის თემაა ადეკვატური პოეტური თარგმანის ირგვლივ და არც ვცდილვარ ახალი კამათის წამოწყება სტივენსონთან საუბარში. ერთი კი ვთქვი, რომ თარგმანი თარგმანს გააჩნია მეთქი. გავიხსენე ედუარდ ფიცჯერალდის კლასიკური თარგმანი ომარ ხაიამისა, რაც ინგლისური პოეზიის საგანძურშია შესული ორიგინალური პოეტური ნაწარმოების „უფლებებით". ჩვენს სუფრაზე საკამათო განწყობილება არ იყო, თორემ, რა თქმა უნდა, სტივენსონი მეტყოდა ფიცჯერალდის თარგმანი, საბაყიეროდ, ხაყმოდ დაშორებულია დედნის შინაარსობრივადო, რაზეც ალბათ მივუგებდი, რომ ზოგჯერ ასეთი დაშორება გამართლებულიცაა მეთქი და სხვ.

მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სტივენსონი მუშაობს „ვეფხისტყაოსნის" პროზულ თარგმანზე და ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცეს ინგლისურად რუსთაველის პოემის შინაარსი. ამასთან იგი, ბუნებრივია, ცდილობს დაიცვას დედნის მდიდარ პოეტურ სახეთა სისტემა და, რაკი მეტრული ზომითა და რითმით არ იზღუდავს თავს, ფიქრობს, რომ ამ ამოცანას უკეთ გაართმევს თავს.

სხვათაშორის, სტივენსონს ძალიან აფიქრებს ვეფხვის სახე პოემაში. იგი ფიქრობს, რომ ქალის ვეფხვთან შედარებას, მაგალითად, ინგლისელი მკითხველი მეტად არაესთეტიკურ შედარებად მიიჩნევს. ხომ არ აჯობებდა ჯიქით, იკითხა სტივენსონმა. ქალის ჯიქთან შედარება ინგლისელებისათვის გაცილებით უფრო ბუნებრივი და პოეტური იქნებოდაო. ვურჩიე ამის თაობაზე ჩვენი ქართველი რუსთველოლოგებისათვის მიემართა, მაგრამ, ჩემი აზრით, გაუმართლებელი იქნებოდა მთელს პოემაში „ვეფხვის" „ჯიქით" შეცვლა, რადგან „ვეფხისტყაოსანში" ვეფხვის სახე არამცდა არამც შემთხვევითი არ არის მეთქი, და თუ ინგლისელის ყურს ასე ძალიან ეხამუშება ქალზე თქმა „ვეფხვივით პირგამეხებულიო", დაე ერთ ადგილას იყოს „ჯიქივით პირგამეხებული" მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ ბოლოსდაბოლოს, ეს სახე არც რუსთაველისთვის არის უცხო — „იგია ჩემი [illegible], უწყალო ვითა ჯიქია". ალბათ ფიცჯერალდიც ასე მოიქცეოდა, თუკი ჩათვლიდა, რომ ამით სათარგმნელ მასალას საკუთარ ენაზე უკეთ აამეტყველებდა მეთქი.

ბევრი სხვაც ვუქციეთ რუსთაველზე, საქართველოზე, ქართველებზე, ინგლისურ პოეზიაზე და გულთბილად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

იმედია მომავალში რობერტ სტივენსონს საშუალება მიეცემა ბევრ სხვა ქართველსაც შეხვდეს, განსაკუთრებით კი მის დარგში მომუშავე ქართველ სპეციალისტებს.

სტივენსონთან შეხვედრამ ცოტა შემაფიქრა ლონდონში ყოფნის გეგმები. უკვე უფრო ნათლად ვგრძნობდი ის პასუხისმგებლობა, რომელიც თავის თავზე აიღო ჩვენმა ქართველმა მთარგმნელმა ვენერა ურუშაძემ: იგი ხომ „ვეფხისტყაოსანს" ინგლისურ ენაზე ლექსად თარგმნის! სწორედ ინგლისში გამგზავრების წინ წამიკითხა თავისი თარგმანის ადგილები. მაგრამ როგორ მიიღებენ თარგმანს ინგლისელები? რა მოეწონებათ, რა უკუაგდებათ მათ, ვინც სრულიად არ იცნობს ქართული პოეზიის სამყაროს და რუსთაველის პოემაზე მხოლოდ ინგლისური თარგმანის მიხედვით უნდა იმსჯელოს?

ოქსფორდიდან ლონდონში დაბრუნებისთანავე მოვეთათბირე ინგლისელ მეგობრებს იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება მოგვევლინოს „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის რედაქტორად, თუკი ამისი საჭიროება და შესაძლებლობა იქნება. ყველაზე სასურველი კანდიდატურა აღმოჩნდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი მწერალი ალან სილიტოუ, რომელმაც არც თუ დიდი ხნის წინათ მეტად საინტერესო ლექსების კრებულიც გამოსცა, და მისი ცოლი რუთ ფეინლაიტი, რომელიც ინგლისურად [illegible] პოეზიის გამოცდილი მთარგმნელია.

ჩემი [illegible] დღეები მიიწურა და დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. გაუფრთხილებლად, გვიან საღამოს მივადექი სილიტოუებს ბინაში. ბევრი ბოდიშები არ დამჭირდა, ძველმა ნაცნობმა მეტად გულთბილად მიმიღო, გამაცნო თავისი მეუღლე, რომელსაც წინათ არასოდეს შევხვედრივარ და ამ [illegible] მასპინძლების საზოგადოებაში რამდენიმე საათი დავყავი. შუაღამემდე ბევრი რამ გამომკითხეს საქართველოზე. ჩემი სახელდახელო „ინფორმაცია" დამარწმუნებელი რომ გამეხადა, მოვიშველიე ბრიტანეთის ენციკლოპედიის უკანასკნელი გამოცემის ის ტომი, რომელშიაც საკმაოდ ვრცელი წერილია საქართველოზე, ლარუსის ლექსიკონის ესპანური თარგმანი (ეს ორი „წყარო" მასპინძლებმა შემაშველეს) და მარჯორი უორდროპისეული ინგლისური პროზული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა", რომელსაც [illegible] წერილი აქვს დართული ინგლისურ ენაზე და რომელიც ინგლისელი მეგობრების დახმარებით იქვე ლონდონში ვიშოვნე იმ დღეებს.

ცოლ-ქმარი ძალიან დაინტერესდა ვენერა ურუშაძის ახალი თარგმანით და მთხოვეს თბილისში დაბრუნებისთანავე გამეგზავნა მათთვის ამ თარგმანის ნიმუშები.

ერთი დღის შემდეგ, კვირა დილას სრულიად მოულოდნელად სასტუმროში დამირეკა ალან სილიტოუმ და მთხოვა საათის [illegible] მასთან მივსულიყავი. კვირადღის გეგმებს ასე მოულოდნელად არ დავარღვევდი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენსა რობერტ გრეივსი მოდის დღეს და შენც მასაც შეხვდიო.

გავიცანი ძველი თაობის ცნობილი ინგლისელი პოეტი რობერტ გრეივსი, რომელიც ამავე დროს ავტორია მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ავტობიოგრაფიისა „გამოთხოვება ყოველივესთან" (1929 წ.) და მთელი რიგი ისტორიული რომანებისა, მათ შორის რომან „ოქროს საწმისისა", რომელიც ძველი ბერძნული მითის მიხედვით არის შექმნილი. ამჟამად რობერტ გრეივსი ოქსფორდის უნივერსიტეტში იყო მიწვეული პოეტიკის დარგში ლექციების საკითხავად.

სუფრაზე საუბარი ჩამოვარდა რუსთაველის პოემის სათაურის თარგმანზე. ინგლისურად ვერ ითქმება „ვეფხისტყაოსანი", აუცილებლად უნდა ითქვას „ვეფხვის ტყავიანი კაცი", ან „ვეფხვის ტყავიანი ესა და ეს პიროვნება." მარჯორი უორდროპმა თარგმნა „ვეფხის ტყავიანი რაინდი" და ასეთი სათაურით იცნობენ რუსთაველის პოემას ინგლისელები.

ალან სილიტოუმ, რუთ ფეინლაიტმა და რობერტ გრეივსმა ერთხმად შენიშნეს, რომ „რაინდი" ინგლისელი მკითხველისათვის სრულიად გარკვეულ, წმინდა ევროპულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული და პოემის წაკითხვამდეც კი შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ნაწარმოებს არ შეესატყვისებაო.

შემდეგ ლაპარაკი შექსპირზე ჩამოვარდა. რობერტ გრეივსი მიწვეულია ინგლისურ ეროვნულ თეატრში მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესასრულებლად: იგი შექსპირის რამდენიმე კომედიის ტექსტს „რედაქციას" უკეთებს. თითქოს დიდ დრამატურგს მაინც არ სჭირდება რედაქტორის ხელი, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ძველ, ბუნდოვან გამოთქმებსა და კალამბურებს ეხება, რომელთა აზრი თანამედროვე ინგლისელი მაყურებლისათვის სრულიად გაუგებარია. გრეივსი ასეთ ადგილებს ფრთხილად, მაგრამ გაბედულად „ასწორებს". მთავარია — ამბობს პოეტი — ზედმეტი ნეოლოგიზმები არ შევიტანოთ შექსპირის ტექსტში, [illegible] მოიშველიოთ გაუგებარი გამოთქმების განსამარტავადო...

— უკვე რობერტ გრეივსმა წამოიძახა: „Swordsman"! აზრობრივადაც შესაფერი და შესანიშნავი რიტმული მონახაზიც არის მთელი სათაურისა — „სორდზმენ ინ დი ტაიგერს სკინ". ქართულად „სორდზმენ", „მეომარს" ნიშნავს, მაგრამ ინგლისურად ეს სიტყვა „მეომრის" ერთ-ერთი სინონიმია, რომლის ზუსტი შესატყვისი ქართულად არ გაგვაჩნია და რომელსაც ინგლისურად ამჟამად უფრო ამაღლებული, პოეტური ელფერი დაჰკრავს. მე, ყოველ შემთხვევისათვის, განსაკუთრებით ტარიელის „სოციალური მდგომარეობა", „სორდზმენ" ცოტა მდაბიურად არ ჟღერდა მეთქი, მაგრამ რობერტ გრეივსმა დაბეჯითებით გაიმეორა — თქვენი მთარგმნელის ადგილას „რაინდს" დაუფიქრებლად შევცვლიდი „სორდზმენით". რობერტ გრეივსს უკეთ მოეხსენება ინგლისურად რა აჯობებს!

თბილისში დაბრუნებისთანავე სილიტოუს ვენერა ურუშაძის თარგმანის ნიმუშები გავუგზავნე და ახლახან პასუხიც მომივიდა: ინგლისელი მწერალი საუკეთესო შეფასებას აძლევს ქართველი მთარგმნელის ნამუშევარს და იმედს გამოთქვამს, რომ ვენერა ურუშაძე ბოლომდე მიიყვანს „ვეფხისტყაოსნის" თარგმანს.

სილიტოუ წერილში კიდევ ერთხელ იხსენებს რობერტ გრეივსის მიერ შემოთავაზებულ სათაურს და დასძენს, რომ „მეომარი" ნამდვილად აჯობებს „რაინდს". თუმცა კი საბოლოოდ ეს თვითონ მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოსო — დასძენს სილიტოუ...

ნიკო ყიასაშვილი



თელავი. მხატვარი ელ. ახვლედიანი.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

პანკისის ხეობაში

კალმახი და შელამება

აქ, მთებში ალაზანი
სულ სხვანაირია,
კალმახივით ხტის ტალღა ალაზნის,
ჰაერში მწიფე შვინდის
ფერი აირია,
უცებ მოაკლდათ ცხელ ქვებს ძალა
მზის.

ანკესი ამოვაგდე,
მუხლებზე დავეშვი
და ნანადირევს შევავლე ხელი,
ხელიდან გამოსხლტა და
შევარდა ჰაერში
კალმახი, როგორც ისარი ჭრელი.

შევკრთი, დავედევნე
[illegible]
([illegible]?)
და უცებ დავინახე:
მთაზე კალმახივით
იწვა ვარსკვლავებით დაწინწკლული
ცა.

მდინარე ბაწარასთან

მზე ჩაგორდა სულ ერთ წამში,
ფრთას შლის ღამის მშვიდი დარი,
დაბზრიალდა მთების ჭაღში
მთვარის თეთრი თითისტარი.

დატრიალდა, დაიხვია
წყალი ბაწრად დაკლაკნილი,
თავის რიხილით, თავის ღვიით
მთების ფიქრად დაგრაგნილი.

შენ გინატრე ახლა გულით...
მოუმატა წყალმა ხივილს,
იმის ქსელში გახლართული
ავფართხალდი კალმახივით.

უწყვეტელი და უხიერო
ტყე ჩამყვება დაბლა ხრამებს,
თვალდაჭყეტილ ბუს იერით
იბღვირება მთაში ღამე.

ხავსის ხალი გაუგია,
მუხის ფესვზე უდევს მხარი,
იქნებ ხმა თუ გაუგია,
მორბის, ცრემლი მოსდის მარილს.

კარავს დავეცემ აი აგერ,
კარავია თუ სიზმარი,
ცრემლს შევუშრობ ცხელი ბაგით
[illegible] და სიშვლე მარილს.

დილის ზარებს ჩამოვრეკავ.
წყალზე ირმებს ჩამოვრეკავ.
წინ ირემი მიმიძღვება,
მესხმის წყალი ასი კოკა.
მარილივით გულიც დნება,
ვის ეძახის ახალუკად...

სადღაც ნედლი სტვირი სტვირის,
რომ სველ ბაგით ავიღო მე,
ირმებივით გულიც ყვირის
მის ხმას როდის გაიგონებ?..

მხატვრული არსენალის სიმდიდრისათვის

ნოდარ ნათაძე

ლიტერატურული ხასიათი ყველა ეპიკური და დრამატული ჟანრების საფუძველთა საფუძველია. პერსონაჟი თანამედროვე რომანის, თანამედროვე მოთხრობის, ტრაგედიის, დრამისა თუ კომედიის ცენტრალური ფიგურაა. უპერსონაჟოდ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისდამი უპირველესი ყურადღების გამოუჩენლად დღეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი, გასართობი ლიტერატურა არსებობს (ცუდი დეტექტივი, ე. წ. „სიტუაციური" კომედია და სხვა ამგვარი). მართალია, ზოგი საკმაოდ ცნობილი ავტორი იმ აზრს ადგას, რომ გმირი დღეს სერიოზულ ანუ მაღალმხატვრულობრივ ლიტერატურაში აღარ უნდა იყოს ყურადღების ცენტრში, რომ დღეს უფრო მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ რას წარმოადგენს ადამიანი ზოგადად, მისი არსებობა, მისი ბედი და ა. შ., ვიდრე იმისა, თუ რადარა განსხვავებული ადამიანები არსებობენ ქვეყნად, როგორია მათი ბუნებრივი თვისებები, მსოფლმხედველობა და ბიოლოგიური და სოციალური პრობლემებისადმი დამოკიდებულება. ამ აზრს იცავს, მაგალითად, თანამედროვე ფრანგი რომანისტი [illegible] მალრო, მაგრამ ეს მხოლოდ [illegible] იმას ეხება, თუ როგორი უნდა [illegible], ამ ავტორთა აზრით, თანამედროვე [illegible]ური ტიპი. მხატვრული შემოქმედების [illegible]რაქტიკა ჯერჯერობით ამ თეორიას დამაჯერებელ ნაწარმოებებს არ გვაძლევს. [illegible] ადამიანის შემეცნების ყველაზე საიმედო [illegible] ეპიკურ ლიტერატურაში დღე[illegible] — [illegible] სხვადასხვა ადამიანების, — [illegible] სოციალური ვინაობის, ტემპერამენტის, მორალისა და მსოფლმხედველობის სხვაობით გამოწვეული ინდივიდუალური თუ მეტნაკლებად ტიპობრივი განსხვავებული ნიშნების მხატვრული ასახვა [illegible]რჩება.

[illegible] ხასიათის შექმნის ხელოვნება ეპიკოსისთვის ყველაზე დიდი და ყველაზე რთული ხელოვნებაა. რეალისტური ანუ ცხოვრებისეული ხასიათების შექმნა რეალისტური ლიტერატურის უპირველესი მოთხოვნაა. ამ ძირითადი მოთხოვნის უარყოფა ან უგულვებელყოფა იმას ნიშნავს, რომ მწერლობას უნიადაგო ფილოსოფიური განზოგადებისაკენ, მიმველი სიმბოლიკისა და ალეგორიისაკენ ვუბიძგოთ, ე. ი. სრული უნაყოფობისათვის გავწიროთ.

ლიტერატურული ხასიათის შექმნის ამოცანა, ამ სიტყვის ვიწრო ესთეტიკური აზრით, შედარებით ნათელია: ეს არის პერსონაჟის სრული ანუ ფსიქოლოგიურად თვითკმარი სახის შექმნა, რათა მკითხველმა მარტო ის კი არ იცოდეს, თუ რა ემართება პერსონაჟს ნაწარმოებში, არამედ ისიც, თუ ვინ ან რა არის ეს პერსონაჟი ფსიქოლოგიურად. ჩვენ „შიგნიდან" უნდა შევიგრძნოთ პერსონაჟის სულიერი ცხოვრებაც. ამ ცხოვრების ყველა ელემენტი ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან, ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ ამ კავშირის ფსიქოლოგიურ სიმართლეს, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ გმირის შინაგანი ცხოვრების ის მხარეებიც, რომლებიც ნაწარმოებში ნახსენები არ არის. ჩვენი ფანტაზია პერსონაჟის სახის მოხაზვისას იქ არ უნდა ჩერდებოდეს, სადაც ავტორის ხელი გაჩერდა; ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ ნაწარმოების გმირს, როგორც ჩვენ მიერ ნახული ადამიანების რაღაც გარკვეული ტიპის წარმომადგენელს. ეს არის რეალისტური ესთეტიკის ძირითადი მოთხოვნა. უამისოდ რეალისტური ეპიკური ხელოვნება არ არსებობს.

მაგრამ ეს ამოცანის მხოლოდ ერთი მხარეა, მისი, ასე ვთქვათ, არტისტული მხარე. მეორე მხარეა პერსონაჟის ტიპიზაცია ანუ ადამიანის ამა თუ იმ ტიპის გამოყოფა გარესინამდვილის შთაბეჭდილებათა ზოგიდან, ადამიანთა კლასიფიკაცია ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით, ერთი სიტყვით, ხასიათის დახატვა კი არა, არამედ მისი დანახვა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საკითხი ეხება ხასიათის შექმნის მეთოდს, რაც ავტორის მსოფლმხედველობიდან და მისი შემოქმედების საერთო მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს.

რა არის მთავარი, რაც მხატვრული შემოქმედების ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ერთ შემოქმედებით მეთოდს მეორისაგან განასხვავებს და რაც გარკვეულად არის დაკავშირებული ავტორის მსოფლმხედველობისა და მხატვრული ინდივიდუალობის ღრმეს საწყისებთან? ეს არის თვალსაზრისი, რომლითაც ავტორი ადამიანებს ერთიმეორისაგან არჩევს. მხატვრული ლიტერატურის გარიჟრაჟზე, ანტიკურ სამყაროში და შუასაუკუნეებში (როგორც ქრისტიანულ ქვეყნებში, ისე სხვაგან) ეს თვალსაზრისი მეტად მარტივი იყო: პერსონაჟი, როგორც წესი, ან ავი იყო ან კარგი, იგი ან ღვთისკენ იყო ან ეშმაკისკენ, ან გულადი იყო ან ლაჩარი. იმ საქმეს, რომელსაც ავტორის სიმპათია ეკუთვნოდა, გმირი ან მტრობდა ან ემსახურებოდა. დიდებული ქმნილებები — ჰომეროსის ეპოსი, „ნიბელუნგების სიმღერა", „შაჰ-ნამე" თუ „ვეფხისტყაოსანი" ამგვარი მეთოდით შექმნილი ლიტერატურის ფონზე ცალკეულ გემონალისებად მოჩანს. კრიტიკული რეალიზმის ეპოქაში, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენში, პერსონაჟთა განსხვავების მთავარ თვალსაზრისად სოციალური თვალსაზრისი იქცა, ვინაიდან ეპიკური ლიტერატურის მთავარ ამოცანად ამ დროს სოციალური პრობლემების გადაჭრა და საზოგადოების მამოძრავებელი პოლიტიკურ-ეკონომიური ძალების შესწავლა დადგა. ამ ტიპის ლიტერატურის პერსონაჟი, პირველ ყოვლისა, თავისი სოციალური ფენის ტიპობრივი წარმომადგენელია — იგი არისტოკრატია ან მესამე წოდების შვილი, ბურჟუაა ან პროლეტარი, გლეხია ან „განნათლებული მდაბიო". პერსონაჟის სოციალური ვინაობა და აქედან გამომდინარე სოციალურად ტიპობრივი ნიშან-თვისებები მისი ბუნების ყველა სხვა მხარეს ჩრდილავს.

„ფსიქოანალიტიკურ" საფუძვლებზე შექმნილ თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში, პირიქით, ადამიანთა ერთიმეორისგან გარჩევის კრიტერიუმად მათი ბუნებრივი თვისებები, უფრო ზუსტად — მათი ბუნებრივი თვისებების (ფიზიკური ბუნება, ნიჭი, ტემპერამენტი და ა. შ.) ერთი მეტ-ნაკლებად ვიწრო შემოფარგლული სფერო იქცა. ადამიანის სოციალური როლი ავტორს ნაკლებად აინტერესებს — შესაბამისად, ამ ლიტერატურის პერსონაჟთა სოციალური სხვაობა სიმდიდრისა თუ სიღარიბის, ცხოვრებაში წარმატებისა თუ ხელმოცარულობის ზოგადი, ისიც, როგორც წესი, შენიღბულად მიხაზული განსხვავებებით განისაზღვრება.

ასეთ განსხვავებულ თვალსაზრისთა შესაძლო რაოდენობა ნამდვილად ამოუწურავია. ზოგი მათგანი სწორია, ზოგი, პირიქით, ჩვენი თვალთახედვის მიხედვით — რეაქციული და მანკიერი (მაგალითად, ჩვენ მარად და მარად პატივს ვცემთ ჩვენი კლასიკოსების მიერ იმ დროის პროგრესული მსოფლმხედველობის ბაზაზე შექმნილ სოციალურ ტიპებს და უარვყოფთ თანამედროვე ფროიდისტული ლიტერატურის ფსიქოპათოლოგიურ ვარჯიშს). სწორი ანუ ახლებური, თანამედროვე ადამიანის აზროვნების დონის შესატყვისი თვალსაზრისის ქონა, რა თქმა უნდა, ვერ იძლევა ნამდვილი და ახლებური ლიტერატურული ხასიათების შექმნის გარანტიას: განსხვავებულ ადამიანთა სწორად დანახვა ერთია, ხოლო ინდივიდუალური და ტიპობრივი თვისებათა სინთეზი, რაც ცოცხალ სახეს ქმნის, — სულ სხვა. მაგრამ თუ სწორი თვალსაზრისის ქონა არ არის საკმარისი პირობა ამ დიდი შემოქმედებითი ამოცანის დასაძლევად, იგი ასეთ აუცილებელი პირობა მაინც არის. სწორი და ახლებური თვალსაზრისის გარეშე დიდი მასშტაბის განზოგადებული ხასიათები ვერ შეიქმნება, მაშასადამე, დიდი ეპიკური ლიტერატურა ვერ იარსებებს.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, გასაგები მიზეზების გამო, პერსონაჟის შექმნისას განმსაზღვრელ თვალსაზრისად სოციალური თვალსაზრისი იქცა. ეს თვალსაზრისი ჩვენს ლიტერატურას მე-20 საუკუნეშიც გადმოჰყვა. მან ქართული ეპიკური მწერლობის მტკიცე, თითქმის ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი საფუძველი შექმნა.

რევოლუციის შემდგომ ხანაში პერსონაჟების განსხვავებული სოციალური ბუნების ხატვამ, ადამიანის გაგებასა თუ ლიტერატურულ რეპროდუქციაში სოციალური თვალსაზრისის ბატონობამ მკვეთრ აღმავლობას მიაღწია. გამძაფრებული სოციალური ბრძოლების ქარიშხლიან ეპოქაში, რასაკვირველია, ლიტერატურას ადამიანი აინტერესებს, პირველყოვლისა, როგორც სოციალური ერთეული, როგორც მწვავე სოციალურ ბრძოლაში ჩაბმული ამა თუ იმ კლასის წარმომადგენელი. ეს, რასაკვირველია, ეხან არ ნიშნავს, თითქოს ამ ეპოქის მწერლობაში მკვეთრ სოციალურ მიზანდასახულობას ლიტერატურის ცალმხრივობა, მისი მოტივებისა და ემოციების გაღარიბება გამოეწვიოს. პირიქით, ეს დიდი და მთავარი თემა, რომელიც ისევე ბატონობს ამ პერიოდის ლიტერატურაზე, როგორც, მაგალითად, ბედისწერის თემა ბერძნულ თეატრზე, საშუალებას აძლევს ავტორს, რომ ყველა სხვა „მარადიული" მოტივებიც ახლებურად დაინახოს, მათ ახალი ძალა ჩაბეროს და სიახლე მიანიჭოს. ეს ეხება როგორც ნაწარმოების მხატვრულ აღნაგობას ზოგადად, ისე, ხასიათთა შექმნას, კერძოდ. სოციალური და საკუთრივ ფსიქოლოგიური თემა აქ გადაჯაჭვულია ერთი მეორეზე და მეორის ფონზე იძენს თავის ძალას.

მხატვრული ამოცანისადმი ასეთი მიდგომის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ [illegible] ნ. ლორთქიფანიძის რომან „იმერეთის ცისკრიდან". მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ თვალსაზრისთან ერთად, იგი საკუთრივ ფსიქოლოგიურ მოტივს — სიკვდილის წინაშე ზარისა და ძრწოლის [illegible] ადამიანურ გრძნობას შეიცავს. მკვლელობის — ამ შემთხვევაში, აუცილებელი მკვლელობის — უცნაური და აუხსნელი განცდა, რომლის გარშემო მრავალი დრამატული ეპიზოდი შეთხზულა სიტყვიერების უძველესი ნიმუშებიდან დღემდე. ამ სცენაში მეტად მძაფრად არის გამოხატული, მიუხედავად ამისა, ეს წმინდა ფსიქოლოგიური მომენტი არც ავტორის კონცეფციას განსაზღვრავს, არც პერსონაჟების შეფასებას. ავტორის თვალსაზრისი აქ ერთიანია და მკაფიო. ეს არის სოციალური თვალსაზრისი: ფეოდალი თავისი კლასობრივი ბუნებით მტერია. ფსიქოლოგიური სიმართლე, რომელიც ამ სცენას ახლავს, მხოლოდ ხაზს უსვამს ამ ძირითად, სოციალურ მიზანდასახულობას. ერთიც და მეორეც დიალექტიკურ ერთიანობაშია, ერთი მეორის ფონზე სიმწვავეს იძენს.

თანამედროვე პირობებმა საერთოდ ლიტერატურის მეთოდოლოგიაში და კერძოდ ხასიათის შექმნის ხელოვნებაში ახალი სირთულე შექმნა — ახალი მარტო იმ მხრივ კი არა, რომ დღევანდელი ხასიათები ფაქტობრივად სხვაა, ვიდრე გუშინდელი დღის ხასიათები, რომ დღეს, სამოციან წლებში, სოფლად და ქალაქად ცოტა განსხვავებული ადამიანები დადიან, ვიდრე ოციან წლებში დადიოდნენ, რომ შეიცვალა ჩაცმა-დახურვა, ცხოვრების გარეგნული პირობები და ყოველდღიური მეტყველების სტილი. ეს სირთულე უფრო არსებითი ხასიათისაა — იგი თვით ხასიათის შექმნის წესს ეხება. ახალმა ეპოქამ, ახალმა სოციალურმა პირობებმა, რომლებიც პრინციპულად განსხვავდება უფრო ადრინდელი ეპოქების სოციალური პირობებისაგან, ამ ძირითად საკითხშიც — ხასიათის შექმნის საკითხშია — ეპიკურ ლიტერატურას ახალი მოთხოვნები წაუყენა.

რა არის ეს სიახლე? ის, რომ ადამიანთა ტიპიზაციისა და „კლასიფიკაციის" დროს, რაც ლიტერატურული ხასიათის „დანახვის" ძირითადი მომენტია, ახლებურად დგება სოციალური და საკუთრივ ფსიქოლოგიური თვალსაზრისის მიმართების საკითხი, რაც ახალი საზოგადოების — გამარჯვებული სოციალიზმის საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარეობს. თუ ადრე, გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლების ეპოქაში კაცის საზოგადოებრივ ბუნებას მთლიანად განაპირობებდა მისი კლასობრივი კუთვნილება, თუ საზოგადოების ცხოვრებაში ადამიანის როლს მართლაც განსაზღვრავდა კლასთა ბრძოლის რთულ ვითარებაში მისი პოზიცია, თუ მისი ზრახვები, მიზნები და გუნება-მიდრეკილებები უშუალოდ მართლაც მისი აღზრდიდან გამომდინარეობდა და პერსონაჟის ავტორისეული შეფასებაც [illegible] მომენტს ეყრდნობოდა, დღეს პერსონაჟისადმი ასეთი მიდგომა უმარი და ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივად გახდა, ჩვენს საზოგადოებაში აღარ არსებობს ადამიანთა უთანასწორობა წარმოშობის მხრივ. ყოველ შემთხვევაში, მას არა აქვს იმდენი ძალა, რომ ადამიანის მთელ ცხოვრებას დაღი დაასვას. ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს ისეთი კლასი თუ სოციალური ფენა, რომელიც თავისი სოციალური ბუნებით იძულებულია მთელ დანარჩენ საზოგადოებას ან მის რომელიმე სხვა ფენას დაუპირისპირდეს. დღეს ადამიანის საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა, ცხოვრებაში მისი როლი (დადებითი თუ უარყოფითი) და მისი [illegible] შეხედულებები აღარ არის დამოკიდებული მის წარმოშობაზე, აღზრდაზე (აღზრდა, პრინციპულად, ყველას ერთი გვაქვს) ან სოციალურ მდგომარეობაზე. საზოგადოების ყველა წევრს იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც თანაბარი შესაძლებლობა აქვს განათლება მიიღოს და სოციალური მდგომარეობა შეიქმნას თავისი ბუნებრივი უნარისა თუ მიდრეკილების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ადამიანთა სოციალური გარჩევაც წარმოშობის მიხედვით ლიტერატურაში მართლდება და ხშირად რუდიმენტად იქცევა. ლიტერატურულ ხასიათთა შექმნისათვის ანუ განსხვავებულ ადამიანთა მეტ-ნაკლებად ტიპიზირებული ხატებისათვის, მაშასადამე, მათი სოციალური წარმოშობა თუ მდგომარეობა დღეს საზომად აღარ კმარა.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ თანამედროვე ეპიკამ, კლასიკურ ლიტერატურასთან შედარებით, ადამიანის ფსიქიკისა და მის მამოძრავებელ მექანიზმებში წვდომის უძლიერესი იარაღი, — ხასიათის სოციალური გაგების იარაღი დაკარგა? ნუთუ თანამედროვე საზოგადოების ახალმა, უანტაგონიზმო სტრუქტურამ ლიტერატურის არსენალი გააღარიბა, ან შეიძლება გააღარიბოს? არა, თანამედროვე ლიტერატურას ადამიანის ბუნებაში ჩაწვდომის არა თუ ნაკლები საშუალება არა აქვს, არამედ, პირიქით გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე ეპოქის მწერლობას. ოღონდ მან ამას ახალ საფუძველზე, ძველი ლიტერატურისგან ნაანდერძევი მხატვრული არსენალის მაქსიმალური დახვეწისა და განვითარების შედეგად თუ შეიძლება მიაღწიოს.

იმისათვის, რომ ნამდვილად ახლებური, განზოგადებული და თანამედროვე ადამიანის აზროვნების შესაფერი ხასიათები შექმნას, თანამედროვე ლიტერატურას ადამიანთა შორის უფრო ღრმა, უფრო არსებითი, დღევანდელობით უფრო რეალური და მოქმედი განსხვავების დანახვაც სჭირდება, ვიდრე მათი სოციალური წარმოშობისა და სოციალური მდგომარეობის სხვაობაა. ასეთად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ადამიანებს შორის პიროვნული განსხვავება, მხოლოდ ადამიანის ბუნებრივი გრძნობებისა და მიდრეკილებების, ტემპერამენტისა და ხასიათის, (ამ სიტყვის ყოველდღიური აზრით), სხვადასხვა უნარისა თუ ინტერესთა მიმართულების ის ნამდვილად უსასრულო მრავალფეროვნება და მრავალსახეობა, რომელიც ერთმანეთის გვერდით მცხოვრებ თანასწორუფლებიან ადამიანებს ერთიმეორისაგან განასხვავებს. ლიტერატურული პერსონაჟის ანუ მეტ-ნაკლებად ტიპობრივი ადამიანის ბედი, ამგვარად ცხოვრებაში მისი როლი, პირველყოვლისა, მისი სოციალური მდგომარეობიდან კი არ გამომდინარეობს (სოციალური პირობები ფაქტობრივად ყველასათვის ერთია), არამედ — მისი პიროვნული თვისებებიდან. კაცის ბუნების ამ მხარეებზე ყურადღების გამახვილება თანამედროვე ლიტერატურას ადამიანის შეცნობას ნამდვილად უსასრულო პერსპექტივას [illegible] მკაფიო ილუსტრაციას პოვებს.

როგორია ვლინდება ლიტერატურულ ხასიათისადმი ამგვარი მიდგომის პირობებში სოციალური პრობლემატიკა, რომელიც ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის უპირველესი და აუცილებელი ნიშანია? იგი განსაკუთრებით მწვავედ და განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება. პერსონაჟის სულიერი სამყაროს ჩვენების დროს მას ისეთივე დიდი ადგილი უჭირავს და უნდა ეჭიროს, როგორც დღეს რეალური ადამიანის ფსიქიკაში სოციალურ პრობლემებს უჭირავს. ადამიანი ვერ აისახება მხატვრულ ნაწარმოებში, თუ გარემო და საზოგადოება არ აისახა. სოციალურ გარემოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოკლებული ადამიანი ადამიანი კი არ არის, მხოლოდ აბსტრაქციაა. შესაბამისად, არც თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი არსებობს, თუ მისი სოციალური პორტრეტი არ იქნა. ადამიანის ფსიქიკის და[illegible] ეს უძლიერესი იარაღი, მისი სოც[illegible] ცხოვრების დახატვაა.

თანამედროვე ლიტერატურა სა[illegible]ბრივი კონფლიქტებისადმი ყურ[illegible] არ ასუსტებს და ვერც შეასუსტებს, [illegible]ქით, საზოგადოებრივი კონფლიქ[illegible]ტური ლიტერატურის უპირველეს[illegible] რიგება და დარჩება მანამდე, სანამ კონფლიქტის შესაძლებლობა [illegible]ში იარსებებს. სინამდვილეში არ[illegible] დიდხანს იქნება ბრძოლა ძველსა და [illegible] შორის, მორალური ჭეშმარიტების მ[illegible] ადამიანსა და [illegible] ადამიანს შორის, კაცთმოყვარეობასა და ეგოიზმს შორის, ძველი ყოფის გადმონაშთისა და ცხოვრების ახალ ფორმებს შორის და ა. შ. მაგრამ თანამედროვე ლიტერატურის პრინციპული სიახლე ის არის, რომ იგი ამ კონფლიქტებს და მათში მონაწილე ადამიანებს ისე კი არ ხატავს, როგორც თავისი სოციალური წარმოშობისა თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის ფაქტორით წინასწარ განსაზღვრულს, არამედ, — როგორც თავისუფალი ნებისა და არჩევანის მქონე ადამიანებს.

რასაკვირველია, ასეთი დიდი პერსპექტივა მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურას აქვს — იმ ერთადერთი საზოგადოებისას, სადაც ადამიანს მართლაც აყრილი აქვს სოციალური უთანასწორობის ბორკილები. მაგრამ როგორც ტენდენცია, ეპიკური მწერლობის ზემოაღნიშნული თავისებურება, სხვა საზოგადოებათა

(დასასრული მე-4 გვ.)



ივერია. მხატვარი ელ. ახვლედიანი.

ბულბული და ადამიანი

ამილ ასათიანი

[illegible]ამ ეს უბედურება გაგვწვდა, ბედნიერი ვიყავით და მისი ფასი კი არ ვი[illegible] ყველანი ასე იყვნენ. ყოველი სოფელი ბედნიერი გვე[illegible] მეორე მეზობელი. [illegible] ბავშვები ყრუ-მუნჯები არიან, [illegible] არავინ არ იცრემლობს თავს [illegible] — თქვა მესამე ვაჟკაცმა. [illegible] მეფეს შეხედა. [illegible] — თქვა მეფემ. — ადა[illegible] სწყევლით ერთმანეთის ბე[illegible] ასე უშუალოდ გაიზიარონ. [illegible] მტკიცედ თქვა მან. [illegible] თუ კი, ბედმა [illegible] და ჩვენმა [illegible] და ხელმა [illegible] მათთან ერთად — [illegible] ბრძენმა ექიმმა. არც ქვეყნის [illegible] თავანი ვერ არა[illegible] ადამიანის გონებაც უსა[illegible] არა აქვს, მის სიღ[illegible] ვერ ჩასწვდები, სიმაღლეს ვერ მი[illegible] ორმოც დღეს დატოვეს თავის სა[illegible] მეფემ და ბრძენმა ექიმმა მოხუ[illegible] ორმოც დღეს უაქიმა ყრუ-მუნჯებს [illegible] და ორმოცდამეერთე დღეს ბავ[illegible] დარბაზში შემოიყვანეს. შეხედეს [illegible] მშობლებს. — დედა, დედიკო! — [illegible] ბავშვებმა და პირველად დე[illegible] მოეხვივნენ. მერე მამას ჩამოეკიდნენ, მერე მეზობლები გაიხსენეს და [illegible]. [illegible] შეიძლება ქვეყნად უფრო ბედნიე[illegible] ვინმე, ვიდრე იმ დროს ამ ბავ[illegible] მშობლები და მეზობლები? რასაკ[illegible] [illegible]

ორივე ლაპარაკობს და მღერის. ისეთი სიმღერები იციან, თქვენც მოწონებულიო! — მოახსენეს სტუმრებს.

ჩაფიქრდა ბრძენი ექიმი, თავი ჩაჰკიდა მეფემაც. ბოლოს ბრძენმა თქვა:

— ხალხი არ შეცდება. უნდა გამოვიკითხოთ, რატომ მიაჩნიათ ყრუ-მუნჯობა ასეთ დიდ უბედურებად, რით არის ის სიბრმავეზე ან უფეხობაზე უარესი.

სიხოვეს და სოფლის დარბაისელი მოხუცნი შეკრიბეს.

— როგორ თუ რატომ?! — გაკვირდნენ მოხუცები, — ადამიანის ენა სულიერთა შორის სულ სხვა რამეა, ენით განსხვავდება ადამიანი ცოცხალ სამყაროში სხვებისაგან. მართალია, ამბობენ ენა სხვა სულიერ არსებებსაც კი აქვთო, მაგრამ ადამიანის ენა სხვაა. ადამიანთა მოდგმა თავისი ენის, თავისი სიტყვის საშუალებით ესაუბრება ერთმანეთს. ენა თუ დაკარგე, ამაზე დიდი უბედურება რა იქნება! ენის დაკარგვა თითქოს ადამიანობის დაკარგვაც არის. სიბრმავე სხვაა, კუტობა სხვაა, ყრუმუნჯობა მათთან არ ითქმებისო.

ბრძენი და მეფე გაჩუმდნენ, სიტყვა არა თქვეს, კიდევ ათ დღეს დარჩნენ და შემდეგ თავიანთ ქვეყანაში გამოემგზავრნენ. ორივენი მთელი გზა ჩუმათ იყვნენ, ერთმანეთსაც კი ხმას არ სცემდნენ, თავისთვის იყვნენ ჩაფიქრებულნი.

— არა, — თქვა ტახტზე მჯდარმა მეფემ, — სიბრმავე ყველაზე უფრო საშინელია ადამიანისათვის, თვალხილული ქვეყნის დაბნელება უბედურებათა შორის უსაშინელესი უბედურებაა. იმ სოფლის მცხოვრებლები ცდებიან. ყრუ-მუნჯს შეუძლია ქვეყნის ფერებით დატკბეს, ყვავილთა ელვარებას შეეტყოს, მზის ამოსვლას უყუროს, მთვარის სხივების სინაზე განიცადოს, ბუნების [illegible] თვალი გაუსწოროს და ისიამოვნოს, ცის გუმბათის სიდიადეც განიცადოს და ოკეანეთა უფსკრულის სიღრმეს ჩახედოს. ყრუ-მუნჯს [illegible] შეუძლია გახდეს და მშვენიერიც. უსინათლო კაცს აბა რა ძალა აქვს?! ის მოკლებულია სამყაროს ხილვას. იგი მის მშვენიერებასა და დიდებას თვისდღეში ვერ ჩასწვდება. ისე წავა ამ ქვეყნიდან, რომ მის გონებას მხოლოდ ერთი ფერი, ბნელი ფერი წაჰყვება. სამყარო კი, [illegible], ფერთა ჰარმონიული დალაგება და მეტი არაფერი. ბრმა კაცი იმ თავითვე მკვდარია, ცოცხლად არც კი ჩაითვლება.

— მართალი ხარ და სტკივიხარ კიდეც, — დაიწყო სათქმელის თქმა ბრძენმა ექიმმა. ამდენი ხანი შენსავით მეც ფიქრად ვიყავი გადაქცეული, დიდი დაკვირვების და განსჯის შემდეგ მივხვდი, რომ იმ სოფლის ხალხი მართალნი არიან, დიახ, ჭეშმარიტად [illegible] მართალნი არიან. მართალია ყრუ-მუნჯს შეუძლია ქვეყნის ყველა ფერით დატკბეს, [illegible] და ბაღ-ვენახს სხვაზე უკეთ მოუაროს. მის გონებას არასდროს არ მოედება სიბნელის შიში, ერთი ფერის, შავი, მხოლოდ ფერის შიში, მაგრამ აბა კარგად დაუკვირდი. მეფეო, ქვეყნის ვერც ერთ ბგერას შენი ყური ვერ გაიგონებს და ვერც შენს ხმას მიაწვდი ვინმეს. ეს სამყარო უხმო, რუმი და მუნჯია შენი სმენისათვის. შენც უტყვი და ყრუ ხარ ამ მშვენიერ მუზიკით აღსავსე ქვეყანაზე. ვერც შენ მოისმენ მის ჩამიჩუმს, არც შენ გაქვს უნარი ერთი მეწყობილი ბგერა მაინც დაუმატო მის უმდიდრეს საგალობლებს. მაშასადამე, ხარ თუ არა ადამიანი შენ?! ახლა სიტყვის ამბავს არ იკითხავთ? ადამიანი ხომ მართლაც სიტყვით განსხვავდება ცოცხალთა სამყაროში სხვა არსებათაგან? ყველაფერი აქვთ სხვა არსებებს, სიტყვა კი არა აქვთ. სიტყვა მხოლოდ ადამიანის საკუთრებაა, ამიტომ მისი დაკარგვა ყველაზე დიდ ადამიანურ უბედურებად უნდა ჩავთვალოთ. აი, რა უშველით. უბრალოდ და ბრძნულად გაიგიან ამ ამბავს იმ ორი სოფლის მცხოვრებლები. რა სიმღერები აქვთ, რა ბედნიერები არიან!! მათ თავიანთი შრომით და [illegible] სიმღერის [illegible] მიაყვანეს შთამომავლობა. ბუნებამ ყური დაუგდო მათს დიდ ხვეწნას და ყოველი კაცი სიმღერის ნიჭით დააჯილდოვა. ხომ ნახე, მეფეო, ყველა რომ მღერის იმ სოფელში. ჩვენ ისიც ვნახეთ, თუ როგორ [illegible] სოფელმა ორი ყრუ-მუნჯის დაბადება. სოფლის საერთო გლოვად გა[illegible]მოაცხადეს ამ ოჯახის უბედურება. ეხლაც მართალნიც არიან. მუსიკით ჭეშმარიტად დატკბობის უნარი მხოლოდ ადამიანსა აქვს. სიტყვა და მუსიკა ადამიანის ადამიანური თვისებაა. მუსიკა რომ უფრო ადამიანური [illegible], ხალხმა ის სიტყვას მსგავსი გახადა, მუსიკას თავისი სიტყვები, თავისი ასოები გამოუგონა. ამით კიდევ უფრო შეისაკუთრა ის. მუსიკა ბულბულსაც აქვს და [illegible], მუსიკალური სიტყვა კი არა აქვს. აზროვნება ადამიანის უმაღლესობის და უდიდებულესობის უტყუარი [illegible], სიტყვა მისი გამოხატვაა და გადაცემის საშუალებაა. მუსიკას კი თავისი სიტყვა აქვს, თავისი ასო-ბგერები. ხომ ხედავ, მეფეო, რით გვაჯობეს იმ სოფლის მცხოვრებლებმა. ემღერებათ და მღერიან. თუ არ იმღერეს, ეს უკვე უბედურებად, სიცოცხლის გამწარებად მიაჩნიათ. მათ მაშინ სწამთ ამ ქვეყნის არსებობა, თუ ადამიანს სიმღერის უნარი და უტყვობა აქვს. ხედავთ იმ პატარა სოფლის მცხოვრებლებს რა დიდი აზრი ჩაუდევიათ სიცოცხლის არსებობაში?! ჭეშმარიტად ბრძენია ხალხის გონება!

— მე მაინც სიბრმავე მიმაჩნია მეტ უბედურებად, — ისევ წყნარად თქვა მეფემ.

— ყოველ კაცს უფლება აქვს თავისი აზრი ჰქონდეს და მტკიცედ სწამდეს კიდეც. ხალხი კი ეტყობა უფრო ღრმა ფიქრით ცხოვრობს. უსინათლოს შეუძლია დიდი მუსიკოსი გახდეს, თავისი ტკივილები დიდი [illegible] მოიშუშოს, სიმღერით განიკურნოს, [illegible] მუსიკით შეიმსუბუქოს. ყრუ-მუნჯი ისე მოკვდება, ერთ ტკბილ ჰანგსაც კი ვერ გაიგონებს. — დაასრულა ბრძენმა ექიმმა.

იმ სოფელში მაშინ გაიგეს სტუმართა ვინაობა, როცა ისინი უკვე თავიანთ ქვეყანაში იყვნენ: ფიცით ნათქვამი სიტყვა ვერ გადაუთქვეს ვერც განკურნებულმა ქალებმა და ვერც მათმა მშობლებმა. სოფლის დარბაისლებს გული დასწყდათ. ჩაფიქრებით კი ძლიერ ჩაფიქრდნენ.

— ვაი თუ მართალი არა ვართ და იმ უცხო ბრძენმა ადამიანებმა სოფელი უბედურად მიიჩნიონო. — იფიქრეს, იფიქრეს და დაასკვნეს: მოდი, ქალ-ვაჟის ცხოვრებას დავუკვირდეთ და ერთხელ კიდევ შევამოწმოთ ჩვენი აზრიო. მართლაც დაუკვირდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ცხოვრებას. შეხედეს რომ მათზე ბედნიერი ადამიანი არ იყო ამ [illegible] სოფელში. ერთმანეთს ელოლიავებოდნენ, სიმღერებით აწყნარებდნენ. მათ თვალში ყვავილებსაც სხვა ფერი ჰქონდა და მზის ნათელ შუქსაც. მშობლების ბედნიერებას კი ხომ იკითხავთ! მათზე ბედნიერი ვინ იყო ამ მიწის პირზე?!

უხუცესთა შორის ერთმა უხუცესმა ეჭვით თქვა:

— აბა, ერთი განკურნებულ ქალს ჰკითხოთ სიხარული, ან თვალხილულ ბრმას გაუზომოთ ბედნიერებაო?

ყველანი გაჩუმდნენ. დიდხანს იყვნენ ისევ ჩაფიქრებულნი. ბოლოს ერთმა — თქვა: ჩვენ ამას ვერ გადავწყვეტთ. ქვეყნის დასავლეთში ერთი ბრძენი მოხუცი ცხოვრობს, მასთან გავგზავნოთ ჩვენები და ის გვეტყვის სიმართლესო.

სამი მოხუცი შეარჩიეს და გაუშვეს. ორი წელი გავიდა და სამი მოხუციდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა. ორი გზაში გარდაცვლილიყო. შეიკრიბნენ სოფლის თავკაცები. მოხუცი მოჰყვა ნახულს და გაგონილს:

— შორი მთის იქით, ქვეყნის დასასრულს ვნახეთ ის ბრძენი, — დაიწყო მან, — როცა ჩვენი წუხილი მოვახსენეთ, მოხუცი გაოცდა! დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს თავი ასწია, მზეს შეხედა და გვითხრა:

— ერთ შეკითხვაზე უნდა მიპასუხოთო.

მოხუცებმა ყური მიუგდეს.

— თუ იცით, ყველაზე მახვილი ყური და ყველაზე მუსიკალური ყელი რომელ არსებას აქვსო, — იკითხა ბრძენთაბრძენმა.

მოხუცებმა ერთხმად ბულბული დაასახელეს.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, — დაუმატა ნათქვამს ბრძენმა და განაგრძო, — რომ ბულბული მხოლოდ მაშინ მღერის, როცა ბუნება [illegible], მრავალფეროვანი ხდება, ახალ-ახალი სხივით და ელვარებით მდიდრდება. ზამთარში როცა სამყარო ერთფეროვანი ხდება, ბულბულს ერთი ჰანგიც კი არ წამოსცდება, გაზაფხულზე კი ამ ფერთა [illegible] იწყებს თავის საგალობელს. თქვენ ისიც გეცოდინებათ, რომ მათი სიმღერა ყოველი [illegible] დროს სხვადასხვანაირია. იმას, რაც გუშინ იმღერა, დღეს არ გაიმეორებს. იმას, რაც [illegible] ცას [illegible], ახლა არ დაიმღერებს. რატომ? ბუნების ეს ფერთა თამაში, ბულბულს თავის სიმღერებში გადმოაქვს. ერთი ფერი მეორეს არ ჰგავს, მათი ციმციმი და შეერთება თუ გათიშვა სხვა ელვარებას და სხვა ფერსა ბადებს. ბულბულის ყელი ასეა მოწყობილი. მას სწორედ ბუნების ეს ფერთა თამაში გადააქვს თავის [illegible] საგალობლებში. უნდა გითხრათ, ადამიანსაც ესა და ყელი კი მაინც სხვა [illegible]: სიტყვაა, თქმა ბულბულს არ შეუძლია, მისი გონება და სხეული ამ დიდ საიდუმლოს ვერ სწვდება. როგორც ჩანს, ყველაზე დიდი სიმღერა მაინც სიტყვაა. ამიტომ ადამიანებისათვის ყრუ-მუნჯობა დასტურ დიდი უბედურებაა. თქვენი სოფელი მართალია, იმ ექიმს ვინც ის ქალ-ვაჟი მოარჩინა ტაძარი უნდა აუგოთ. არ დაივიწყოთ და შთამომავლობას მისი სახე თუ სიკეთე არ დაუკარგოთ.

მოხუცი დადუმდა.

ჩაფიქრდნენ დარბაისლებიც.

იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, სწორედ მდინარის ამ ბორცვზე, სადაც ისინი ყველაზე უკეთეს მომღერლებს აჯილდოებდნენ, აეგოთ ტაძარი ბრძენი ექიმის პატივსაცემად. მეფეს ხუროთმოძღვრები სთხოვეს. მან [illegible] და თავისი უკეთესი მშენებლები გამოუგზავნა სოფელს. დიდხანს აშენეს ეს ტაძარი, მაგრამ როცა დაამთავრეს, ქვეყანა გააკვირვეს. ტაძარში რომ შეხვიდოდით, ასი ბულბულის პატარა და ლამაზი ქანდაკებები ზეცას შეჰხაროდნენ თავისი ენის საგალობლებს. ეს სიმღერები მართლაც წარმტაცად ღღერდა ტაძრის შესასვლელში. ტაძრის შუა ადგილზე ქვისგან [illegible] ადამიანთა სახეები ცის სიმღერებს შეჰღაღადებდნენ ტაძრის გუმბათს. როცა ამ სიმღერებს ისმენდით, გეჩვენებოდათ თითქოს გუმბათიდან მართლაც ზეცისკენ მიიკვლევდა გზას. მიიკვლევდა და მიდიოდა იქ, რათა ადამიანთა ბედნიერება ქვეყნისთვის [illegible]. საკურთხევლთან კი, ზედა აღსავლის კარებთან, კლდისგან გამოძერწილ ადამიანს — ტიტანს შვიდ-შვიდი მტრედი ასხდა მხრებზე. მტრედები ადამიანური ენით ღუღუნებდნენ. „ამ ქვეყნად მაინც მთავარი ადამიანური სიტყვაა. ამ ქვეყნად მაინც მთავარი ადამიანური სიტყვაა".

როცა ტაძარი გაიხსნა, სწორედ იმ დღეს იქორწინეს თურმე განკურნებულმა ქალ-ვაჟმა. სოფლის პირობა არ დაურღვევიათ. [illegible] ორივე [illegible] სოფლიდან დაწინდნენ და შეარჩიეს.

არ ვიცი, მართალია თუ არა ეს ლეგენდა, მაგრამ ხანისწყლის სათავეებთან, სოფელ ხანის ახლო, წყალთაშუაში ახლაც არის ნანგრევთა ნარჩენები. მოხუცები ახლაც მას „სიტყვის ნატაძარალს" უწოდებენ.

ვინ იცის, შეიძლება მართლაც იყო აქ ასეთი ტაძარი. მართალი რომ თქვა კაცმა, ულამაზესი მთები ისეა ორ მდინარის ჩანჩქერებზე შემოჭრილი, ერთი რომ დაბალი ხმით დაილაპარაკო, გუგუნს დაიწყებენ. თუ ხმამაღლა სიტყვა ამოთქვი, მეხივით გასკდება ხოლმე ნათქვამი. ასეა თუ ისე, ეს ლეგენდა პროფესორ სიმონ ხუნინაშვილის შრომებს [illegible] და მეც ამიტომ დავწერე. ძალიან მომეწონა „სიტყვის ნატაძარალი", მართლაც, ბუნებამ სიტყვა ადამიანის [illegible] საკუთრებად აქცია, ვინც მის თქმასა და გაგონებას ადამიანს არ დაუკარგავს, ის დიდი პატივისცემის ღირსია. ეს თქმულებაც ხომ ამას მოგვითხრობს!

* * *

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ინტელიგენცია, განათლებითა და კულტურით ძლიერი იყო, შეიარაღებული იყო კაცთმოყვარეობის მოწინავე აზრით და ფიქრით, მისი [illegible] დღის მეცნიერული მონაპოვარით, მისი პროგრესული იდეებით. მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რაგინდ დიდიც არ უნდა ყოფილიყო ის, შეშურდებოდა აკაკის, კიტა აბაშიძის, გიორგი ზდანოვიჩის, კირილე ლორთქიფანიძის, იოსებ ოცხელის, სილოვან ხუნდაძის და მესხების მთელი ოჯახის განათლება. ქუთაისში იყვნენ შესანიშნავი ექიმები, რომელთაც უანგაროდ უყვარდათ სამშობლო, ხალხი, მზად იყვნენ მათთვის თავი გაეწირათ. ისინი იცნობდნენ ევროპის სამედიცინო მეცნიერებას, მის უახლეს მიღწევებს, ხალხს აცნობდნენ ამ ახალ აღმოჩენებსა თუ მიღწევებს, ცოდნის დიდი მარაგით, გულწრფელი თავდადებით ემსახურებოდნენ მამულს.

ამ ექიმთა შორის სიმონ ხუნინაშვილი (როგორც მაშინ ამბობდნენ „ხუნიხოვი") ერთი პირველთაგანი იყო. მან სამოციან წლებში წარმატებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცნობილი პროფესორის ზახარინის კლინიკაში დატოვეს. სიმონი ღარიბი კაცის შვილი იყო და ამიტომ იძულებული გახდა მალე წამოსულიყო სამშობლოში, შეშველებოდა ხელმოკლე ოჯახს.

იოსებ ოცხელმა, ამ საოცარმა პედაგოგმა და მოღვაწემ, ახალგაზრდა ნიჭიერი ექიმი თავის გიმნაზიაში დაიწვია.

სიმონ ხუნინაშვილმა მიწვევა სიამოვნებით მიიღო, მაგრამ ხელფასზე უარი თქვა. იმ დღიდან იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე უფასოდ ემსახურებოდა ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს და მასწავლებლებს. მისი სახელი კი მთელს დასავლეთ საქართველოში უკვე გავარდა. მისი ავტორიტეტი [illegible] გაიზარდა. „ექიმი ხუნიხოვი, ექიმი ხუნიხოვი" — ყველას ასე ეკერა ენაზე.

ქუთაისის გუბერნიის სამედიცინო საზოგადოებამ სიმონ ხუნინაშვილი თავის თავმჯდომარედ აირჩია. მას ყველგან ეძახიან და სთხოვენ. იგიც დაუზარებლად, დღეა თუ ღამე, წვიმაში თუ დარში, პირველი დაძახებისთანავე დაუზარებლად მიიჩქარის ავადმყოფებისაკენ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიმონ ხუნინაშვილს ვისმესთვის უარი ეთქვას და ავადმყოფი არ განეკურნოს. საინტერესო ის არის, რომ ღარიბ მოსახლეობაში გასამრჯელოს არ მოჰკიდებდა ხელს.

ქუთაისის თეატრის მსახიობებს და თანამშრომლებს თავისი სიცოცხლის არც თუ ისე ხანმოკლე მანძილზე უფასოდ [illegible] ემსახურებოდა, ვის გაუბედავდა ჰონორარი აიღეთ! ცოტა როდი ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ღარიბისა და გაჭირვებულის ბავშვს [illegible] ჩუქნიდა ვერცხლის მანეთიანს ჩუმათ ხელში. შემდეგ ამ მანეთიანით ეს ოჯახი ორი-სამი დღე პურითა და ტარანით გამოიძღვებოდა მთელ [illegible].

როგორც ვთქვით, ხუნინაშვილები ახლოს ცხოვრობდნენ ჯაჭვის ხიდთან, ზედ [illegible] ბაზრის უკან ორსართულიანი სახლი ჰქონდათ. ცნობილი „ფილიმონას სახაშე" იქვე, ჯაჭვის ხიდთან იყო.

ერთ დღეს ქუთაისის დასის მსახიობებს უქეიფნიათ, ღამე გაუთევიათ და დილით ფილიმონასთან ხაშზე შესულან. როგორც ჩანს, ბევრნი ყოფილან, ფული კი არ ჰქონიათ. გრიგოლ ჩარკვიანისთვის დაუვალებიათ, „სიმონთან შედი, უთხარი ავად ვარ-თქო. თუ კარგ გუნებაზე იყოს, [illegible] და ერთი ოქროს თუმნიანი იქნებ შენსკენ გადმოაგდებინოო." იმ დღეს სიმონი ცუდ ხასიათზე ყოფილა, თანაც გრიგოლის ხუმრობა ვერ გაუგია, ცელქობად ჩაუთვლია და გაჯავრებულა.

— თვალით არ დამენახოო, უყვირია თურმე. გრიგოლიც ცეცხლ გამოძუნძულებულა გარეთ.

შემდეგ სიმონი დაფიქრებულა. მიმხვდარა, ალბათ მსახიობებმა გამოგზავნესო, ფული დასჭირდათ, გაჭირვებაში ჩავარდნილან. ტანზე ჩაუცვამს, ფილიმონასთან შესულა და ნახარჯიც გადაუხდია და მეორე დღის ხაშის საფასურიც წინასწარ დაუტოვებია.

— შენთვის კი გრიგოლ, მიუბრუნდა თურმე ჩარკვიანს, — არც ხუმრობის ნიჭი მოუცია ღმერთს და არც ტირილისა, მე ვფიქრე ცელქობით გამაღვიძე კაცი იმ ალიონზეო.

სიმონ ხუნინაშვილი ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგადაც მუშაობდა წლების მანძილზე. მრავალ ქართველ სტუდენტს უგრძნია მისი მამობრივი დამხმარე ხელი, ბევრ გაჭირვებულ ახალგაზრდას [illegible] მისი [illegible]. სიმონი [illegible] იყო ექიმი. ეს საქველმოქმედო მის სულიერ მოთხოვნას არწყულებდა, ხალხის სამსახურის საშუალებას აძლევდა. სიმონის შვილი — ნიკოლოზი ექიმი გახლდათ. ისიც მამასავით შესანიშნავი მკურნალი დადგა და დიდხანს ემსახურებოდა ქუთაისის მშრომელებს. სიმონისავე რჩევებით სამივე შვილიშვილებიც ექიმებად დაიზარდნენ. რეზო თბილისში მუშაობს, ხოლო ნიკოლოზი (მამის სახელი მეორდება) ქუთაისშია, თავის მამა-პაპის ძველ ფუძეს, ბაბუა სიმონის კერას არ აცივებს, საერთოდ ქართველ კათოლიკეთა ისტორია მამულისთვის დიდი სიყვარულის და თავდადების ისტორიაა. არამარტო ფალიაშვილები და თამარაშვილები, ოცხელები და ხუნინაშვილები, ახლაც არიან ოჯახები, რომლებიც თითქოს [illegible] გადასცემენ შთამომავლობას მამულის უზადო სიყვარულს. აკაკი არაზაშვილის ოჯახმა (იგი ფარმაცევტი იყო) მოდგმით გადასცა თავისი საყვარელი ხელობა შთამომავლობას, მისი მეუღლე ნინო ფარმაცევტი გახლდათ, შვილი სოსო ახლა ცნობილი ფარმაცევტია, მისი მეუღლე ლუბაც ფარმაცევტი გახლავთ, და შვილი აკაკიც სწორედ მამა-პაპის კვალზე წავიდა. ასეთივე იყო კოკოზაშვილების გვარის შესანიშნავი ოჯახები. ახლა მარტო ფაუჩინიშვილები! მარტო ისინი რად ღირან! მარიამ ფაუჩინიშვილის ქალმა არაერთი და ორი ქართველი ქალი აღუზარდა მამულს, საქართველოს.

(დასასრული იქნება).

აკაკი გეწაძე

მინდა მზესავით ყოველდღე გნახო

ო, ნიკორწმინდავ, ნათელი შენი
ცასა და მიწას მზესავით შვენის.

შენზე ზევით ღმერთი არ არის, ვიცი,
დიდი ხანია სდუმან ზარები,
მაგრამ მე მესმის ლოცვები მიწის,
სიწმინდის, შვების და ნეტარების.

შენს გვერდით უხმოდ მიდიან დღენი,
ჟამი იმუხლებს დაკეტილ კართან...
მე მაინც მესმის გალობა შენი,
მესმის ძახილი მდუმარე ზართა.

მარად სიკეთის გზაზე ვიარო,
მზეს უცოდველი თვალით ვუმზირო,
მტკიოდეს ყველა კაცის იარა,
მიყვარდეს მიწა, ზეცა უძირო...

ცასთან მისულხარ ყველაზე ახლო
და ღრმად გაგიდგამს მიწაშიც ფესვი.
მინდა მზესავით ყოველდღე გნახო,
მე ხომ დღეს შენი დუმილიც მესმის.

[illegible]

შენი ნათელი და სული წმინდა
ქვეყნის სიკეთის ზეცამდე ზრდიდა,
დღეს კი მეუფე მარადისობის
დგახარ მიწის და ცარგვალის ხიდად.

მზისკენ გახედე ლოცვების ხიდი,
მზეც მიტომ გაყრის სხივებს ხვავებად.
ზეცაში დგახარ ტაძარი მშვიდი,
როგორც ოცნება და უკვდავება.

ცასთან მისულხარ ყველაზე ახლო,
მე შენი უხმო გალობაც მესმის,
მინდა ყოველდღე მზესავით გნახო
და შენს ემბაზში მოვნათლო ლექსი.

ო, ნიკორწმინდავ, ნათელი შენი
ცასა და მიწას მზესავით შვენის.

ლაშხეთის ცაცხვი

სვანეთის მთებში ცაცხვია ერთი
რტომრავალი და ისე მაღალი,
თითქოს ზღაპრული ფასკუნჯის ფრთებით
მზისკენ მიფრინავს შეუსვენებლად.

ლაშხეთის თემში ცაცხვია ერთი:
თითქოს ძვალმსხვილა მწვანე ხელებით
ბნელში სათუთად უჭირავს მთვარე
და მზე ბურთივით უჭირავს დილით.

ლაშხეთის თემში ცაცხვია ერთი:
ხელთ თითქოს ღმერთი უპყრია მუდამ.
არ ეშინია ღრუბლის და მეხის,
თავი ცარგვალში აუწევია

და ფესვი მაგრად უდგას მიწაზე.
ხის მსხვილ ტოტებქვეშ მიმოდის ხალხი,
ხისქვეშ ხალხივით მიმოდის ჟამი,
ხის თბილ უბეში გალობს ფუტკარი.

სვანეთის მთებში ცაცხვია ერთი,
დგას ხეთა მახვში რვაასი წლისა.
ის დაიბადა, როცა თამარმა
ქვეყნად პირველად დაადგა ფეხი,
ის დაიბადა, როცა რუსთველმა
მზეს გაუღიმა უხმო გალობით.

შორეულ ზღაპრად იქცა თამარი,
რუსთველიც იქცა შორეულ ზღაპრად.
მაგრამ ისევ დგას ლაშხეთის ცაცხვი,
ეტყობა დროთამს არაფრად აგდებს.
დგას, მზე და მთვარე უჭირავს ხელში,
დგას ქედუხრელი, ვით უკვდავება.

იქნებ ეს ცაცხვი თამარმა დარგო
და ხეს გახმობა არ უწერია...
ან იქნებ ამ ცაცხვს ნედლი ფესვები
რუსთველის გულზე აქვს მოხვეული
და ვერას აკლებს დროთამის სრბოლა?
იქნებ... ვინ იცის?

მზის გაღვიძება

სძინავს გულმშვიდ ღამეს,
სძინავს გულთეთრ მთვარეს
და ღრუბლებში სძინავს ზეცის ყველა ვარსკვლავს.

არა სძინავს წყალს და
არა სძინავს ერთ კაცს,
შარაგზას რომ მიჰყვება.

წევს ეზო მდუმარი, წევს ჩუმი ციხქვეშ,
კიბისქვეშ სძინავს ძაღლს.
ჭიშკარს მოადგა შორი სტუმარი,
სტუმარმა გააღვიძა ძაღლი.
აუყეფდა ძაღლი და გააღვიძა მასპინძელი,
მასპინძელმა გააღვიძა ცოლი.
ცოლმა გააღვიძა ბუხარი,
ბუხრის შუქმა სახლიდან გააგდო ღამე...
მერე ცოლ-ქმარმა გააღვიძა მარანი,
მარანმა გააღვიძა ქვევრი და ორშიმო,
ორშიმომ გააღვიძა კოკა და სურა.
სურამ გააღვიძა სუფრა,
სუფრამ გააღვიძა მადა,
მადამ გააღვიძა სიმღერა,
სიმღერამ — მეზობელი.
სუფრას შემოუსხდა ხალხი და ხალისი,
მარილი, ქვაბი და პურ-ღვინო.
სუფრას მოუტყვა ახალი სუფრა,
გრძელმა სუფრამ გააღვიძა დიდი მრავალჟამიერი,
გრძელმა სიმღერამ გააღვი[illegible]
ღრუბ[illegible]
ღამემ გააღვიძა რიჟ-
რიჟამი — მამალ[illegible]
სუფრაზე ჩამო[illegible]
[illegible]

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(დასასრული)

ლიტერატურაშიც, კერძოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაშიც არსებობს; თუ ადამიანის წინაშე მისი ცხოვრების მოწყობის ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო შესაძლებლობა ძევს, თუ მისი გზა და მისი როლი მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული მისი პირადი ადამიანური თვისებებით და თუ ეს თვისებები რეალისტი მხატვრის ყურადღების ცენტრში უფრო და უფრო ექცევა, — ეს თანამედროვე საზოგადოების რთული სტრუქტურის ლოგიკური შედეგია. გაღრმავებული ფსიქოლოგიზმი, პერსონაჟთა ადამიანური ბუნების ხატვის გაზრდილი ინტერესი, პერსონაჟის დახასიათებაში ფსიქოლოგიური პლანის წინ წამოწევა, რაც თანამედროვე დასავლურ ლიტერატურასაც ზოგად ახასიათებს, ამ რთულ სოციალურ პირობათა უშუალო შედეგია.

თუმცა ზემოხსენებული სიახლე პერსონაჟთა ხატვაში უფრო პერსპექტივას გულისხმობს, ვიდრე სინამდვილეს და თუმცა თანამედროვე ლიტერატურას კლასიკური ლიტერატურის ბადალი ხასიათები ჯერ არ [illegible], მაგრამ მაინც გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არც საერთოდ საბჭოთა ლიტერატურისათვის და არც კერძოდ ქართული ლიტერატურისათვის ეს მეთოდი დიდი ხნის აბსტრაქცია არ არის. ეს არის ცხოველი ნაკადი მხატვრული აზროვნების ევოლუციისა, ყოველმხრივი განვითარება [illegible] და უწყვეტი [illegible].

[illegible] ახალგაზრდა ავტორების ბოლო წლებში დაწერილი მოთხრობების დიდი ნაწილისათვის ლიტერატურული ხასიათის პრობლემა სუსტი ადგილია. ამჯერად მასზე რამდენიმე სიტყვით შეჩერება ღირს.

ახალგაზრდულმა ნაკადმა ქართულ პროზაში ბევრი სიახლე შემოიტანა. ქართული პროზა ახალი თემებით, ახალი გაწყობილებებით, განსაკუთრებით, ახალი გამომხატველი საშუალებებით გამდიდრდა. „ჰემინგუეისებური" მანერა, რომელიც ბევრ ახალგაზრდა პროზაიკოსს ახასიათებს, ერთგვარ „მოდადაც" კი იქცა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის თავისთავად ცუდი, ოღონდ ამ ფაქტს ზედმეტად დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ.

ხასიათის შექმნას ანუ იმას, რაც ეპიკურ ლიტერატურას ნამდვილად დიდ მსოფლმხედველობრივ ლიტერატურად ხდის და მას ფართო საზოგადოებრივი თუ ფილოსოფიური განზოგადების საშუალებას აძლევს, „ჰემინგუეისებური" სტილი მაინცდამაინც დიდად არ უწყობს ხელს. მართალია, ჰემინგუეის ლაკონიზმი, თხრობის თვალსაჩინოება, მოქმედებისა და გმირთა ფსიქიკის ცვალებების ისეთი უშუალო ჩვენება, რომელიც მანამდე ლიტერატურამ თითქმის არ იცოდა, ძალიან ეხმარება მწერალს, სხვათაშორის, პერსონაჟის სახის გამოკვეთაშიც. მაგრამ სხვაა მაინც ლიტერატურული სახე ზოგადად და სხვა ლიტერატურული ხასიათი კერძოდ. ხასიათი უფრო რთულია, ვიდრე ლიტერატურული სახე. ხასიათი მხოლოდ ცალკე აღებულ სიტუაციაში მყოფ პიროვნებას კი არ გულისხმობს, არამედ მთლიანად პიროვნებას. იგი პიროვნებას არ გულისხმობს, როგორც მხოლოდ ამა თუ იმ ცალკეული განცდის სუბიექტს. ხასიათს ქმნის პერსონაჟის ინდივიდუალური თვისებების — მისი გარეგნობის, მიდრეკილებების, ტემპერამენტის, მსოფლმხედველობის, მორალის, გრძნობათა მთელი მრავალსახეობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების რთული ნაკვეთი. თუ ლიტერატურული ხასიათი ნამდვილად ხასიათია, მაშინ, იმის მიხედვით, რაც ნაწარმოებიდან შევიტყეთ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მოიქცევა პერსონაჟი ყველა სხვა სიტუაციაშიც.

„ჰემინგუეისებური" სტილის ყველაზე დიდი წარმომადგენელი — ერნსტ ჰემინგუეი — ლიტერატურულ სახეთა მხატვარი უფროა, ვიდრე ხასიათებისა. (ეს მარტო მის მოთხრობებზე კი არ ითქმის, არამედ რომანებზეც, როგორიც არის „მშვიდობით იარაღო", „ფიესტა", „ვის იგლოვს ზარი"). საკმარისია ჰემინგუეის პერსონაჟები ტოლსტოის, ბალზაკის ან თომას მანის პერსონაჟებს შევადაროთ, რომ ეს განსხვავება თვალნათლივ გამოჩნდეს. იყო საშიშროება, რომ „ჰემინგუეისებური" სტილის გადმონერგვა ქართულ პროზაში შეასუსტებდა პერსონაჟთა ხასიათის გამოკვეთისადმი ყურადღებას და ეს მართლაც ასე მოხდა. არა თუ ერთი ავტორის სხვადასხვა გმირები — სხვადასხვა ახალგაზრდა ავტორთა გმირებიც, ძალიან ხშირად, ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალი. ზაური თუ ჯუმბერი, თენგიზი თუ თამაზი, გიგი თუ გოგი — ყველა ეს ახალდაბადებული ლიტერატურული ფიგურები ფაქტობრივად ერთი და იგივე ადამიანია. და ამ [illegible], სამწუხაროდ, „ჰემინგუეისებური" მანერის პრეტენზია ჩანს. ნათელი, მკვეთრი, ლაკონური თხრობისკენ სწრაფვამ, რაც ლიტერატურაში დღეს ჰემინგუეის სახელთან არის დაკავშირებული, ავტორებს ხელი აალებინა ხასიათის გამოკვეთის ურთულეს ამოცანაზე. უფრო ზუსტად, მან შეუქმნა ავტორებს ყოვლად მცდარი რწმენა, რომ თუ მოთხრობაში ნათლად არის მიხაზული ყოველდღიური ცხოვრების რაღაც ეპიზოდი, მაშინ ზედმეტია მასში მონაწილე პიროვნებების ინდივიდუალური თვისებებისა და შინაგანი სამყაროს დახატვა და ასეთი ეპიზოდი შემდგომ გაუღრმავებლადაც ნაწარმოების შესაქმნელად კმარა.

ბოლო წლების ჟურნალ-გაზეთებიდან ამ ფსევდოჰემინგუეისებურ გზაზე გამდგარი მარცხის ბევრი მაგალითის ამოკრეფა შეიძლება. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ლიტერატურული ხასიათის ხატვის ზემოთ ნახსენები ზერელობა მხოლოდ ამის ბრალია. სამწუხაროდ, იგი ნიშანი, სიმპტომი უფროა, ვიდრე ნამდვილი მიზეზი, მიზეზი უფრო ხშირად ცხოვრების უცოდინარობა და მოვლენების ბოლომდე გაუგებლობაა, ადამიანებისა და მათი ურთიერთობების ხედვაში უმწიფრობაა.

საბედნიეროდ, ზემოთ ნახსენები მანკი „ჰემინგუეისებური" სტილის მოყვარული ყველა ავტორისთვის საერთო არ არის. ქართული ლიტერატურის ტრადიციას, ქართული სინამდვილის თვითმყოფადობას, ავტორთა ინდივიდუალურ ტემპერამენტს თუ აზროვნების ორიგინალობას იმდენი ძალა აღმოაჩნდა, რომ ამ გავლენას მორჩილად არ გაჰყოლოდა და ამ მიმართულებითაც ჩვენი ლიტერატურის განვითარების საკუთარი, ორიგინალური გზა მოეძებნა. მაგალითების მოყვანა საკმაოდ შეიძლება. ჩვენ მხოლოდ ერთს დავასახელებთ.

გურამ რჩეულიშვილი პირველი ავტორი იყო, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ჰემინგუეის ლაკონური სტილის გადმონერგვა სცადა. მაგრამ ჰემინგუეის „მოწაფე" რჩეულიშვილი მხოლოდ გაწყობილებათა და ცხოვრებიდან ამოღებულ დრამატულ ეპიზოდთა მხატვარი არ გამხდარა, იგი იმავე დროს ხასიათის მხატვარიც იყო და მისი ეს თვისება ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდა. მისი ბათარეკა და მზია (მოთხრობა „ბათარეკა ჭინჭარაული") მარტო ლიტერატურული სახეები კი არ არის, (პერსონაჟები, რომელთაც ჩვენ ნათლად ვხედავთ მოქმედების მსვლელობაში და რომელთა მოქმედების საფუძვლად დადებული განცდები ნათლად წარმოდგენილი გვაქვს), ნამდვილი ხასიათებია, გარეგნულად მარტივი, მაგრამ სულიერი ცხოვრების მიხედვით რთული ტიპები ადამიანებისა, რომელთა შინაგანი ბიოგრაფია შეგვიძლია ჩვენი ფანტაზიით უშეცდომოდ შევავსოთ. ხევსური ბათარეკა ავია, მოშუღარი, დაუდგრომელი. მას თითქოს შიგნიდან აწვება რაღაც ცეცხლი — ცეცხლი ბრძოლისა და ამპარტავნობისა, წარსულისა თუ წყენის უპატიებლობისა, რაც გარემოდან მიღებულ მის რწმენებსა და წარმოდგენებს, (ხევსურეთში გავრცელებულ წეს-ჩვეულებებს) ზედმიწევნით ეხება. იგი არაფერს არ უფიქრდება და, თანამედროვე განყენებული ტერმინებით რომ ვთქვათ, არ „აანალიზებს", ცხოვრობს უშუალოდ, ვნებით, ისე როგორც ამას გარემო და თავისი სულის აუხსნელი მიდრეკილება უკარნახებს. ზამთარში ჩამოთოვლილ მატილში იძულებით სახლში ჩამჯდარს, მას ოჯახის საქმე იტაცებს, ისევე, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში შეყვარება და საქორწილო ხვევა იტაცებდა. მკითხველს სჯერა, რომ ასეთივე ვნებითა და გატაცებით მას შეუძლია სრულებით სხვა, მისთვის მოულოდნელ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ბათარეკა სავსებით ჰარმონიული პიროვნებაა და ამავე დროს სრულებით არაჰარმონიული — სულის აუხსნელი იმპულსი, საკუთარი მდუღარე ტემპერამენტი და ვნება მას მოსვენებას არ აძლევს. იგი ავია და [illegible], შიგნიდან მას მოუსვენარი შინაგანი ლტოლვა ღრღნის. ეს ტრაგიკული დისჰარმონია, მოცემული სრული გარეგანი ჰარმონიის ფონზე, — არის პერსონაჟის ინდივიდუალური თვისება, ადამიანური ბუნების რაღაც ახალი (ლიტერატურის თვალსაზრისით) შტრიხი, რომელიც ავტორმა თავისი მოთხრობის თემად აირჩია. ამ ლიტერატურული სახის აზრი და დანიშნულება სცილდება იმ პატარა ეპიზოდის [illegible] ამოცანას, რომელშიც ბათარეკა მონაწილეობს, როგორც გმირი. ამდენად ბათარეკა ხასიათია, ანუ ადამიანის ტიპი, რომელიც ჩვენ თავისთავად გვაინტერესებს.

ბათარეკას სახე ეთნოგრაფიულად ზუსტია. ყოველ შემთხვევაში, მკითხველს სჯერა, რომ ყოფისა და მეტყველების დეტალები, რასაც მას ავტორი სთავაზობს, აღწერილი ეპოქის (მოქმედება ძველ დროს ხდება) ხევსურთა რეალურ ცხოვრებას შეესაბამება. მაგრამ ეს მხოლოდ ფონია ბათარეკას ხასიათისათვის: ბათარეკას სოციალური დახასიათება (თემის წევრი და ა. შ.) ზუსტია, მაგრამ გადამწყვეტი არ არის. იგი საკუთრივ ხასიათის შექმნაში არც მონაწილეობს. ინდივიდუალური თვისება, რომელიც ხასიათს საფუძვლად უდევს, კონკრეტულად აღწერილი ეპოქით განსაზღვრული თვისება არ არის, იგი უფრო ზოგადი თვისებაა. ეს ხასიათი, დიდია იგი თუ მცირე, განზოგადებულ ადამიანურ ხასიათთა რიგს ეკუთვნის.

მზიას ხასიათი სრულებით სხვანაირია, მაგრამ იმავე მეთოდით, განზოგადების იმავე დონეზე შექმნილი ხასიათია. დრამა, რომელიც ამ ცამეტი წლის გოგონას სულში იმალება, ახლადგაკვირტებული სიყვარულისა და სიკვდილის მარადი დრამაა, ტრაგედიაა, რომლითაც მოთხრობა თავდება — სიყვარულ-სიცოცხლის მარადი ტრაგედიაა. ნორჩი სიცოცხლე, რომელსაც ჯერ [illegible] ანგარიშის გაწევა არ უსწავლია, რომელიც არ იტანს არავითარ კომპრომისს და ამიტომ უხვად ფლანგავს თავისთავს — აი მოთხრობის ნამდვილი თემა და მზიას ხასიათის საფუძველი. მზიას ადამიანური ბუნების ეს მხარე სწორედ ის ინდივიდუალური შტრიხია, რომელიც მას სხვა ადამიანთაგან განასხვავებს და რომელსაც ავტორი ამ პერსონაჟის გამოკვეთისას ემყარება. მზიაც, ამგვარად, მხოლოდ ლიტერატურული სახე არ არის, — ხასიათია.

გურამ რჩეულიშვილის გმირი, თუ არ ჩავთვლით „ბათარეკა ჭინჭარაულს" და კიდევ სხვა მოთხრობას, მაინც უპირატესად ლირიკული გმირია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მოთხრობებში ავტორს ხასიათის შექმნაზე ხელი აქვს აღებული. მიუხედავად მძაფრი სუბიექტივიზმისა, რომელიც ამ მოთხრობებს ახასიათებს, მისი გმირი მაინც ხასიათია, ე. ი. პერსონაჟი, რომელსაც საკმაო ზომით აქვს ერთსადაიმავე დროს ინდივიდუალობისა და ზოგადობის ნიშნები. ინდივიდუალური ამ გმირის ბუნებაში ის არის, რომ მისი თავგადასავალი და განცდა არ არის თავგადასავალი ზოგადად ადამიანისა, — ეს მხოლოდ გარკვეული ტიპის ადამიანის, სახელდობრ, მაძიებელი, მოუსვენარი, დიდი მიზნებისა და გაქანების მქონე ადამიანის თავგადასავალია („ალავერდობა" და სხვ.). განზოგადება კი იმით იჩენს თავს, რომ გმირის ეს განცდა და თავგადასავალი სცილდება ავტობიოგრაფიის ფარგლებს — ეს ზოგადად მაძიებელი ჭაბუკის შესაძლო და დამაჯერებელი თავგადასავალია, რომელშიაც მისი სუბიექტური შინასამყარო და მის ირგვლივ მყოფი გარესამყარო ჩანს.

ხასიათის შექმნის რთულ ამოცანასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი დღევანდელი მწერლობის ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მიმართულება" თუ ტენდენცია, რომელმაც უკვე საკმაო რაოდენობის ნაწარმოებები შექმნა და ამით ლიტერატურაში არსებობის უფლება უდავოდ დაიმკვიდრა. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „ხასიათის" პერსონაჟების მხატვრული ნაწარმოებები — ლიტერატურაში ისეთი ფიგურების შემოყვანა, რომლებიც ერთგვარი ექსტრავაგანტობის [illegible] არიან მოსილნი და რომელთაც სცენაზე „ხასიათის როლების" სახელით ვიცნობთ. ეს ნაყოფიერი ტენდენცია მარტო იუმორისტულ ან ნახევრად იუმორისტულ ნაწარმოებებში კი არ გამომჟღავნდა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს"), — მან ბევრი ისეთი ნაწარმოების სტილი და კომპოზიციაც განაპირობა, რომლებიც რაღაც სპეციფიკური გარემოს — ჩვენი პროვინციის, გარკვეული სოციალური წრის და ა. შ. გულთბილსა და ზოგჯერ სევდანარევ სურათებს გვიხატავს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რ. ჭეიშვილის კრებული „ბზიანეთი", იგივე ტენდენცია საფუძვლად უდევს სხვა ბევრი ახალგაზრდა მწერლის (ნ. ელიოზიშვილისა და სხვათა) ყველაზე კოლორიტულსა და ფერსავსე მოთხრობებს.

ამ ხერხით შექმნილმა ცოცხალმა და პლასტიკურმა სახეებმა დიდი ხანია მკითხველის სიმპათია და სიყვარული მოიპოვა. ამდენად, ხასიათის ხატვის ამ ხერხის [illegible] მსჯელობას ახლა უკვე აზრი აღარა აქვს: თუ კი ავტორებმა ამ გზით რეალური, ხანგრძლივი და დასამახსოვრებელი სახეების შექმნა შეძლეს, ეს იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებითი მეთოდის არჩევაში მათ გემოვნებამ და ლიტერატურულმა ტაქტმა არ უღალატა. მაგრამ, როცა საკითხი ზოგადად ჩვენს ლიტერატურაში ხასიათის შექმნას ეხება: მაშინ, მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ აღნიშნული მეთოდი ჩვენი მწერლობისთვის, ასე ვთქვათ, უკანასკნელი სიტყვა არ უნდა იყოს. გმირის ისე ხატვა, როგორც დრამატურგიაში „ხასიათის როლები" იქმნება, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ცხოვრებაზე ავტორის თვალსაზრისსა და გმირის თვალსაზრისს შორის ძალიან დიდი მანძილია. თუ ეს მანძილი მცირდება (იგი კი უთუოდ ძალიან მცირდება, როცა ავტორი მოაზროვნე, მაძიებელ გმირს ხატავს), მაშინ ეს მანერა ავტორის მხატვრულ ამოცანას ვეღარ გასწვდება. გმირის დამაჯერებელი დახატვაც და მკითხველის ინტერესის აღძვრაც მაშინ შედარებით უფრო რთულია. დიდი ლიტერატურის უპირველესი დანიშნულება კი სწორედ ასეთი მაძიებელი და მოაზროვნე გმირის ხატვაა.

„ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ"

ალექსანდრე გრიბოედოვი [illegible] სპარსეთში, თავის საშინელ აღსასრულამდე ორი კვირით ადრე თეირანიდან ნინო ჭავჭავაძეს უგზავნის ერთი შეხედვით ყოვლად უბრალო საჩუქარს — სამელნეს. ეს „უმნიშვნელო" ფაქტი დაუდო საფუძვლად რეჟისორმა მიხეილ [illegible] თავის პირველ მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმს — „გრიბოედოვის საჩუქარს".

და უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა ძალიან ბრწყინვალედ განსჭვრიტა ამ უბრალო ფაქტში ის, რამაც თითქოს გამოავლინა გრიბოედოვისათვის იქნებ გუმანით უკვე შეგრძნობილი ტრაგიკული აღსასრულის [illegible]. თუ არა ეს გარემოება, რატომ მაინცა და მაინც სამელნე უნდა ყოფილიყო უკანასკნელი საჩუქარი გრიბოედოვისა თავისი სათაყვანებელი მეუღლისადმი, როდესაც რუსეთის ელჩი [illegible] სავსე იყო სპარსეთის შაჰისაგან ნაბოძები ოქრო-მარგალიტითა და ათასგვარი ეგზოტიკური ძვირფასი ნივთით, რითაც [illegible] ერთი შეხედვით, თითქოს უფრო გა[illegible] ხარებდა ქალის გულს? მაგრამ გრი[illegible] ბოედოვის არჩევანში არის რაღაც [illegible] ლაპოეტური, წინათგრძნობით ნა[illegible] ყოველივე ამან განაპირობა [illegible] რეჟისორის არჩევანიც და ოპე[illegible] ტორ რეზო კეზელის, როლების შემს[illegible] რულებელთა — დოდო შანშიაშვილის (ნინო), მიხეილ ქვლივიძის (გრიბოე[illegible]), თამარ ჭავჭავაძის (დარეჯან[illegible]) შემოქმედებითი წვლილის კეთილ[illegible]ბილება.

ძალიან შესაძლებელია, როდესაც [illegible] ნინო ჭავჭავაძემ სამელნე მიიღო, თე[illegible] ირანის ტრაგედია უკვე დასრულებ[illegible] ლა იყო, და ყველა ნივთს, რაგინდ ძვ[illegible] ფასიც არ უნდა ყოფილიყო იგი, [illegible] უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი ფასი და მნიშვნელობა, გარდა სამელნისა. ალბათ სწორედ ამ სამელნეში ჩაწობილი კალმით დაწერა ნინო ჭავჭავაძემ ის გენიალური ეპიტაფია, რომელიც ამჟამად მთაწმინდაზე ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის კვარცხლბეკს ამშვენებს: «Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя!»

ლადო ავალიანი

• • •

სურათზე: ფილმის „გრიბოედოვის საჩუქრის" ერთ-ერთი კადრი. დოდო შანშიაშვილი ნინო ჭავჭავაძის როლში.

ᲙᲘᲜᲝᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუზეუმში გაიხსნა ქართული კინოფილმების მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე ყურადღებას იქცევს დ. ერისთავის „კინომსახიობ მანანა აბაზაძის პორტრეტი", ნ. იქროპირიძის აპლიკაციები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ყაზბეგის ესკიზები ფილმ „ჯარისკაცის მამისათვის", ქ. ლებანიძის ესკიზები ფილმ „მიქელაასათვის", ა. არაბიძის კადრები ფილმ „მიხაკასათვის", საყურადღებოა ვ. ქიქოძის, თ. მირზაშვილის, გ. გიგაურის, ზ. მეძმარიაშვილის, ტ. კრიმკოვსკაიას და ო. ანდრონიკაშვილის ნამუშევრები.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ახლოვდება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო საბჭოს კონგრესი.

ამ თარიღის შესახვედრად მშვიდობის დაცვის კომიტეტის კონგრესის საბჭოთა დელეგატებმა მოიწვიეს დიდი რიგი მსოფლიოს 9 ქვეყანაში. ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი შეხვდა ამ დელეგაციის ხელმძღვანელს, ცნობილ საბჭოთა დრამატურგს გ. მდივანს და ესაუბრა მას.

— ჩვენ მოვიარეთ ცხრა ქვეყანა, — თქვა გ. მდივანმა. — ვიყავით ჰელსინკსა და სტოკჰოლმში, ოსლოსა და ლონდონში, ბრიუსელსა და ჰამბურგში, კოპენჰაგენში, როსტოკსა და ბერლინში. ჩვენი დელეგაციის წევრები შეხვდნენ მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტების ხელმძღვანელებს, ევროპის ქვეყნების პაციფისტური მოძრაობის წარმომადგენლებს. ყველგან, სადაც მივედით, გაიმართა მეტად გულთბილი და სასარგებლო საუბრები, რომელთა დროსაც გამოირკვა, რომ იმ ქვეყნებში მშვიდობის მომხრენი მარტო დემონსტრაციებს კი არ აწყობენ ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ ფულსაც აგროვებენ ვიეტნამელი ხალხის დასახმარებლად.

ჩვენი მხრით ხომალდ „ბაშკირეთის" გემბანზე ვიწვევდით ევროპაში მშვიდობისათვის მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს. ამ შეხვედრების დროს იმართებოდა მეტად საინტერესო და გულთბილი საუბრები, რომლებიც ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

„ᲓᲝᲜ ᲟᲣᲐᲜᲘ"

ამ დღეებში ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს წარმოუდგინა ახალი სპექტაკლი — მოცარტის „დონ ჟუანი".

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ე. პასნიკოვს, დირიჟორია ჯ. კახიძე (საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მხატვარი — ს. ვირსალაძე (რსფსრ და საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი).

ოპერაში წამყვან პარტიებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები: თ. მუშკუდიანი (დონ-ჟუანი) და მ. ამირანაშვილი (დონა ანა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ა. თომაძე (კომანდორი), ი. შუშანია (ლეპორელო), ი. კუზნეცოვა (დონა ელვირა), ა. ჩაკალიძე (დონ ოტავიო), შ. თაბუკაშვილი (მაზეტო) და სხვები.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲔᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ

დამთავრდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები. ეს გასტროლები თბილისის საზაფხულო თეატრალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. დიდი შემოქმედებითი ტრადიციების მქონე ქუთაისის დრამატული კოლექტივის სტუმრობა ყოველთვის თბილისელთა ცხოველ ინტერესს იწვევს. მაგრამ ამ ინტერესმა ამჯერად მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა ცხელოდა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დარბაზი მაინც მუდამ ხალხით სავსე იყო. მაყურებელი სულგანაბული უსმენდა სპექტაკლის მსვლელობას და შინ რეჟისორული და აქტიორული კულტურით მოხიბლული ბრუნდებოდა.

მთავარი, რითაც ქუთაისის თეატრმა გაგვახარა, — იყო მისი შემოქმედების დიდი მოქალაქეობრივი პათოსი, კოლექტივის, ხალხისა და დროის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება. გასტროლების დროს ნათლად იგრძნობოდა, რომ თეატრი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს, ერთი წუთითაც არ ივიწყებს ეპოქის მოთხოვნილებებს, მაყურებლის დიადი მომავლის ჰუმანური იდეალების სულისკვეთებით აღზრდის ინტერესებს.

2 ივლისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ საგასტროლო სპექტაკლების გარშემო მოაწყო ფართო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა და თეატრალურმა მოღვაწეებმა: გ. კიკნაძემ, ნ. ურუშაძემ, ბ. ჟღენტმა, მ. გიგიბერიძემ, ი. ვაკელმა, ა. შალუტაშვილმა, ნ. შვანგირაძემ, ლ. მილორავამ, ა. წულუკიძემ და სხვ.

ორატორებმა ერთსულოვნად მოიწონეს თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა, ხაზი გაუსვეს რეჟისურის მაღალ დონეს და შემსრულებელთა აქტიორულ კულტურას. გასტროლებმა — თქვეს მათ — ნათლად დაგვანახვა, რომ ქუთაისის თეატრი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი შემოქმედებითი კოლექტივია, სწორი მხატვრული ხელმძღვანელობით იგი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს, გაბედულად აწინაურებს ნიჭიერ ახალგაზრდებს და ყოველნაირად ხელს უწყობს სცენის გამოცდილ ოსტატთა შემოქმედებითს წინსვლას; სპექტაკლების დიდმა ნაწილმა ყურადღება მიიქცია ეპოქის შესაფერისი მაღალი კულტურითა და დახვეწილი გემოვნებით; განსაკუთრებული მოწონება ხვდა „რიჩარდ მესამეს", „ცხოვრების ჯარას", (დადგმა აკ. ვასაძისა), „მედეას", „თეთრ ჩრდილებს" (დადგმა თ. მესხისა). ამ სპექტაკლებში მთელი ძალით გამოჩნდა დამდგმელთა და შემსრულებელთა შესაძლებლობა, ოსტატობა და მრავალფერი მხატვრული ფანტაზია.

ორატორები სიამოვნებით აღნიშნავდნენ, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ქართულ დრამატურგიას, და ამ მიმართულებით დიდ შემოქმედებით გაბედულებასაც იჩენს. ცხრა საგასტროლო სპექტაკლიდან ექვსი ქართველ დრამატურგთა პიესაა (შ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა", ო. ჩიჯავაძის „თეთრი ჩრდილები", ლ. სანიკიძის „მედეა", ო. იოსელიანის „როცა სიყვარული მოვა", ო. დვებუაძისა და ა. აბშილავას „განთიადის დედოფალი", ო. მამფორიას „ტაბუ"). აქედან ხუთი თანამედროვე თემაზეა დაწერილი. ამ მხრივ ქუთაისის თეატრი წასაბაძ მაგალითს იძლევა.

ამასთან ერთად სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა გამოთქვეს ცალკეული შენიშვნები, თეატრის ხელმძღვანელობის წინაშე ახალი საკითხები დააყენეს, მოითხოვეს, რომ კოლექტივმა გაზარდოს მომთხოვნელობა, თვითმიზნად არ გადააქციოს საკუთარი დრამატურგიით გატაცება და იბრძოლოს მისი მაღალი მხატვრული დონისათვის.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე. მან მადლობა გადაუხადა თბილისელ მაყურებლებს იმის გამო, რომ ისინი ქუთაისის თეატრის გასტროლებს გულთბილად შეხვდნენ და მისი მიღწევები ობიექტურად შეაფასეს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ

ამ დღეებში მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას გულითადად შეხვდნენ ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. მწერლის პატივსაცემად სკოლის კლუბში შეიკრიბნენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მწერლები, პედაგოგები. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ლილუაშვილმა. მოსწავლე ც. ჩუბინიძემ წაიკითხა მოხსენება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების შესახებ.

მწერალს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მოსწავლეებმა: მ. ხაჭაიამ, ნ. კილაძემ, ხ. კოგუაშვილმა, ნ. ქომეთიანმა, ნ. საყვარელიძემ, ხოლო პიონერებმა მ. ნუცუბიძემ, რ. ხაბურზანიამ, ნ. მარკოიშვილმა, ვ. ჩუბინიძემ, მ. ქომეთიანმა, ნ. ხელაიამ და სხვებმა წაიკითხეს მწერლისადმი მიძღვნილი ლექსები.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

საკონცერტო განყოფილებაში მოსწავლეთა თვითმოქმედმა კოლექტივმა მწერლის მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით წარმოადგინა ლიტერატურული მონტაჟი.

• • •

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის ინიციატივით მოეწყო ხაშურელ მშრომელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან დავით ბაქრაძესთან და მის ყოფილ თანამებრძოლებთან. შეხვედრა გახსნა პარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. აბაზაძემ. რაიონის განათლების განყოფილების გამგემ კ. ნადირაძემ თავის მოხსენებაში ილაპარაკა დ. ბაქრაძის წიგნზე „გმირთა სისხლით", საბჭოთა პარტიზანების გმირულ ბრძოლაზე. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს პედაგოგებმა ლ. ქალიაშვილმა, დ. კაკიაშვილმა, საკონსერვო ქარხნის მუშამ თ. მეტრეველმა, ექიმმა ს. ამირხანოვმა, მწერალმა დემნა შენგელაიამ. დარბაზი გულთბილად შეხვდა ხაშურის რაიონის მკვიდრის, დ. ბაქრაძის დაღუპული თანამებრძოლის გიორგი ტალახაძის მამის გამოსვლას.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა დ. ბაქრაძემ, რომელმაც დამსწრეებს მოუთხრო პარტიზანული ბრძოლის ეპიზოდები.

ბ. მეტრეველი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔ[illegible]

თ. ჭილაძის მოთხ[illegible] ჩეხოსლოვაკია[illegible]

ამ დღეებში ჩეხოსლოვ[illegible] თამაზ ჭილაძის [illegible] ორი გამოცემა. ერთი „გასეირნება პონის ზურგ[illegible]" [illegible] პრაღაში, [illegible] ჩეხურ ენაზე თარგმნა [illegible]. წიგნს დართული აქვს ანოტაცია ავტორის შესახებ.

მეორე „გასეირნება პონის [illegible]", რომელიც სლოვაკურ ენაზ[illegible] კრიმკოვამ უთარგმნია. წიგნს [illegible] ლი აქვს საბჭოთა ლიტერატურ[illegible] ბილი სპეციალისტის [illegible] ბოლოსიტყვაობა, რომელშიც გა[illegible] ლია თამაზ ჭილაძის მოთხრობების [illegible] და მხატვრული თავისებურება [illegible] მატიკა.

პრაღის გამომცემლობა „სვეტ ს[illegible]" წელს ჩეხურ ენაზე გამოს[illegible] პროზაიკოსის მეორე დიდ მოთხრ[illegible] „მეადღეს", რომელიც ვ. ჩერნიმ [illegible] გმნა.

ნიკოლოზ ჯაში — [illegible] ლოგნებისა და ესთეტიკ[illegible] საკითხები

წიგნი წარმოადგენს სტატიების [illegible], რომელშიც განხილულია [illegible] სისტ-ლენინური ესთეტიკის [illegible] ული საკითხები და თანამედროვე [illegible] ესთეტიკის [illegible].

წიგნი გამოსცა „საბჭოთა საქა[illegible] ლომ". რედაქტორია გ. ჟიბლა[illegible] 230, ფასი 41 კაპ.

მოთხრობა თბილისი[illegible] წარსულზე



[illegible]

ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ

მოთხრობა

სიკვდილმა ხელის ერთი მოსმით წაიღო ცხრამეტი გაზაფხული, წაიღო სურვილები, გატაცებები, იმედი... ის კი წევს უძრავად, მშვიდად. სიკვდილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მის მშვენებას არ შეხებია. ირგვლივ კვლავ ცოცხლობს მისი მოციმციმე, გულუბრყვილო თვალთა ელვარება, მისი ხმა, მისი სიცილი, მისი სიარული... მას ხომ ჯერ არაფერი დაუკარგავს, არ დაუფანტავს, იგი მხოლოდ იზრდებოდა, ძალას იკრებდა...

და რამდენიც არ უნდა მოვინდომოთ, მაინც ვერ გამოვთქვამთ მამის წუხილს, მამის ფიქრებს, მამის სევდას, საავადმყოფოს ერთ კუთხეში მოტკეცილ ხესავით რომ დაპატარავებულა და ცლის რაღაცას.

ირგვლივ ყველაფერი კვლავინდებურად ხარობს, ცოცხლობს, არსებობს.

მისი ერთადერთი ქალიშვილი კი აღარ არის — გაქრა, დაიწვა, დაიფერფლა...

ამაოდ ნუ ჩასჩიჩინებ, ვერ გაგიგებს. თვალწინ ნუ დაუდგები, ვერ დაგინახავს...

— უნდა გამიგოს, უნდა დამინახოს. მე მესმის მისი — მეც ხომ მამა ვარ, მამა!.. არა, მისი ქალიშვილის სიკვდილი არ მსურდა... მაგრამ ის ხომ აღარ არის... ჩემი ციანა კი ცოცხალი იტანჯება, უსინათლოდ იფერფლება, იწვის. უნდა გამიგოს! უნდა დამინახოს! განა მისთვის სულ ერთი არ არის, თვალებით მიაბარებს მიწას, თუ უთვალებოდ? ისინი ხომ არასოდეს იხილავენ მზეს? რად უნდა შთანთქას მიწამ ის, რასაც შეუძლია სინათლე და ბედნიერება მოუტანოს, სიცოცხლე ჩაუბეროს ისეთსავე ახალგაზრდას, ისეთსავე მომავალს... [illegible]

შეახსნის მამაკაცმა, იმ დღეში რომ დაბერდა, ლოგინზე ჩამოცრებული მახვილი ცრემლი ჩამოიწმინდა, [illegible] ყველას და ყველაფრის მიმართ უგრძნობმა, ხელი ჩაიქნია და მძიმე ნაბიჯით წავიდა.

ვინ მიხვდება, რა თქვა უბედურმა ამ მოძრაობით?!

მეორე მამამ კი თავის სასიკეთოდ მიიჩნია. წამოდგა, ფეხები რუმბივით ჰქონდა, მაგრამ მაინც სწრაფად გაემართა კარებისაკენ. ექიმთან ეჩქარებოდა.

• • •

გავიდა ხანი. ოჯახში უბედურებას შეეგუენ. და ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი თავის კალაპოტში მოექცა. ყოველ საღამოს ქმარი ორი საათით მიდიოდა სადღაც — შინ გული არ უჩერდებოდა. მისი გზა იყო გასტრონომში, საავადმყოფოში, ციანას პალატა — ხან რას იყიდდა, ხან რას. და მხოლოდ იმას რაც თავის ქალიშვილს უყვარდა.

მივიდოდა, თავზე ხელს გადაუსვამდა.

იმედდაკარგული, გაწამებული ციანა ხელის ყოველ შეხებაზე აკრთოლდებოდა, ატირდებოდა. ერთხელ ხილული უსინათლობას ვერ შეეგუებოდა.

გაყურყუტებდა ახლადმოსული, სავსე მოეცვრიდა და გულისტკივილით შესცქეროდა გოგონას. და როცა ლოგინმიხედილი, დაპატარავებული, დამფრთხალი ციანა მალიმა მიეფერებოდა, იმედით ავსებდა, ამშვიდებდა.

ციანა შეეჩვია მის ხმას, ალერსს, ხუმრობას. მისი ფეხის ხმას სხვა ათას ფეხის ხმაში გამოარჩევდა.

რა იცის ამ ადამიანზე? იცოდა, რომ პროფესიით პედიატრია, თავისი მკურნალი ექიმის მეუღლეა. იცის, რომ ამ რამდენიმე [illegible]

წამალი მიიღო. და, რაც მთავარია... ჩქარა სინათლეს რომ იხილავდა. ჰო, სინათლეს...

ქმარი მოუთმენლად მიელოდა ოპერაციის დღეს. ო, როგორ სურდა ერთხელ კიდევ ეხილა თავისი სანუკვარი შვილის თვალები. სჯეროდა, რომ ისინი იცოცხლებენ, შეცინებენ.

ხშირად ციანასთან ყოფნისას წარმოიდგენდა მის სახეზე შვილის თვალებს — შავს, კუპრივით შავსა და მცინარს... ციანა მაშინვე უჩინარდებოდა, ქრებოდა მის წინ ის და მხოლოდ „ის" ეთამაშებოდა, ის, თავისი შვილი.

ცოლს კი უმძიმდა. ო, როგორ უმძიმდა იმ დღის მოახლოება. რაკი ერთხელ ითავა და ციანას შეჰპირდა სამყაროს ხილვას, სხვას როგორ გადააბარებდა. ისედაც ბევრი დრო წავიდა.

ახლოვდებოდა დღე და მისი ტანჯვაც იზრდებოდა — [illegible] ტვირთად დაწოლილიყო მხრებზე. ვერა, ოპერაციას ვერ გააკეთებს, ვერა. მისი თვალების დანახვაზე ხელები აუკანკალდება, გონება დაეკარგება! არა! არა! არა!

მაგრამ შვილის თვალები სხვას როგორ ვანდო, როგორ?

ერთი, ორი, სამი — რეკავს საათი... ხვალ, ხვალ — არა, ეს უკვე დღეს არის, თვალებს კი ძილი არ ეკარება...

საავადმყოფო სამარისებურ სიჩუმეს მოეცავს. ადამიანები ჩუმად დადიან, ლანდებივით. იქ, საოპერაციოში სიბნელე და სინათლე ერთმანეთს შეეჭიდებიან. ვინ იტყვის, რომელი დაძლევს, რომელი [illegible]?

ერთი, ორი, სამი — რეკავს საათი. კარი იღება. საგორებელი ეტლი გამოჩნდა. თვალებახვეულ გოგონას სახეაჩეული მკურნალი ექიმი მოჰყვება. იქვე დგას ექიმის ქმარიც. მის უჩუმ კითხვაზე — საიმედოა? — ცოლი უღიმის. თვალებს ნუგეშით ხუჭავს.

— მე ყველაფერი გავიგე!

• • •

— საიმედოა?!

— მე ყველაფერი გავიგე!

[illegible]

კვლავ ნელად გზას უბრუნდება. რამდენი საათი, რამდენი დღე გავიდა ოპერაციის შემდეგ? საათი კი თავისას არ იშლის, ერთნაირად რეკავს იმედისა და უიმედობის მოლოდინში... ციანა ხან მხიარული, ხან [illegible] თვალებს ახელს ლია მოლოდინში — ხან ჩუმი, [illegible] უდრტვინველი, გონიერი, მოთმინებიანი.

— კიდევ ერთი კვირა! სულ ერთი კვირა, ჩემო კარგო, ერთი კვირა, შენი ჭირიმე! — ხშირად იკრავდა ციანას თავს გულში ექიმი, და ჩასჩურჩულებდა: — ცოტა დარჩა... ცოტა, ცოტა კიდევ მოითმინე და...

ჩასჩურჩულებდა და თვითონ კი ძალას იკრებდა — დაუოკებელ მოუთმენლობას ამაოდ ეომებოდა, ახლებდა... ერთი კვირა ადვილად ითქმის დედისათვის... დედისათვის, რომელმაც თავისი ქალიშვილის თვალები სხვას უძღვნა და ახლა ელის...

ო, როგორ ეჩქარება, როგორ უტოკავს გული... როგორ უნდა იმ თვალებმა იხარონ. კვლავ იხილონ მზე, ყვავილები, მთელი სამყარო... ირგვლივ მხოლოდ ის თვალებია. სხვამ ყველაფერმა აზრი დაკარგა. კიდევ ერთი კვირა. სულ რაღაც შვიდი დღე...

მისი მეუღლე ოპერაციის შემდეგ ერთხელაც არ ყოფილა საავადმყოფოში, თუმცა მანამდე სახლში გული არ უჩერდებოდა. შვილის მიმართ რაღაც ღალატის გრძნობით აივსო. და მაინც მოლოდინით ცხოვრობდა დღეებსა და წუთებს ითვლიდა.

ჩვეულებრივი დღე იყო, როცა ციანას ნახვევი შეუხსნეს. ჩაბნელებულ ოთახში მკრთალი სინათლე დაბინავდა.

ციანამ ჯერ დინჯად, გაბზარული ხმით თქვა: — ვხედავ... ვხედავ! — მერე წამოიძახა! — სინათლეა ვხედავ!.. ვხედავ!..

ექიმი გადაეხვია და ატირდა. ქუთუთოებზე ცრემლები ეკიდა.

ტიროდა ექიმიც, ტიროდა და არა[illegible] არავის ერიდებოდა.

ოთახიდან ყველა ფეხაკრეფით გავიდა. მარტოდ დარჩნენ — ექიმი და ციანა. [illegible]

ახლა უნდა მოხდეს რაღაც მნიშვნელოვანი, საოცარი და ადრინდელზე უფრო სასიხარულო. და მოლოდინში მთლად განაბა, სუნთქვასაც ვეღარ ბედავდა...

— დედა! დედა! შენი ჭირიმე! — შეჰყვირა ციანამ და...

— მიცნო, მიცნო! — თავდავიწყებით წამოიძახა ქალმა. ეს ძახილი [illegible] სადღაც სათავეში დაიმსხვრა, ნაკუწ-ნაკუწად იქცა...

ციანა მოსწყდა მის მკერდს და კარში მდგომ დედას კისერზე შემოეხვია.

თითქოს ლახვარი ჩასცეს გულში, ისე დაიკრუნჩხა ექიმმა და [illegible] კედელს მიაწყდა.

ღერეფანში გაიყვანეს ციანა — იქ მამამისი, ნათესავები მეგობრები ელოდნენ. მარტოდ დარჩენილი ექიმი კი უაზროდ იდგა...

გვერდით ოთახში უხმოდ ისხდნენ მისი მეუღლე, ექიმები, ექთნები... მასთან შესვლას, მოფერებასა თუ თანაგრძნობას ვერა ბედავდნენ.

ის კი იდგა გაოგნებული... აზრი ვერ მოეკრიბა: აქ რატომ არის? რა მოხდა? რას ელოდა? რამ გაუმართლა და რამ უმტყუნა?

ციანა კი...

ციანა ხედავდა, ამჩნევდა სულ პატარას, სულ მცირეს, და სიცოცხლე, ასე საოცრად ნაცნობი და ასე მომხიბვლელი არასოდეს ეჩვენებოდა. ხედავდა და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და არც ფარავდა თავის დაუოკებელ გრძნობას. გრძნობას, რომელიც ატიტინებს, ფრთებს შეასხამს, ააფრენს, გააძლიერებს.

აბა, როგორ დაეფარა თავისი აღტაცება, როცა თვალუწვდენი მინდორი სავსეა ამდენი ნაირფერი წარმტაცი ყვავილით;

როცა ზურმუხტი და ქარვა თავმომწონედ ეპატიჟებიან ერთმანეთს;

როცა ასე წარმტაცად ბიბინებს მთა და ველი;

როცა ასე ტკბილად გალობენ ჩიტუნები;

[illegible]

რიმა [illegible]

რედაქტორის მაგიერ ერ. ქარ[illegible]
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. [illegible]შვილი, ნ. გურაშვილი, გ. ლეონიძე, [illegible] მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, [illegible] ხ. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, [illegible]

«[illegible]» თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-04, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-87-10. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.